დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის №1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ლელა ჯაში**

წევრები:

ეთერ ბროლაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

დემეტრე ნარსია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ბესიკი ბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

მაია ქუთათელაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ნანა ჩილინგარაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ავთანდილ ცნობილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ია სეხნიაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ნინო კოვზიაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის №1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245429040

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ბათუმი
იურიდიული მისამართი	დემეტრე თავდადებულის ქუჩა №47
ფაქტობრივი მისამართი	დემეტრე თავდადებულის ქუჩა №47
საფოსტო ინდექსი	6000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	batumi1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	(+995 422) 277942

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 1 23

	0000883642,14.07.2023წ. - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის №1 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	30 და 31 აგვისტო, 2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	ქალაქი ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №47

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	ქალაქი ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №47
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	ქალაქი ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №47

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

საავტორიზაციო ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობდნენ ექსპერტებთან. ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, გაეცნენ/განიხილეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტს, ასევე ჰქონდა შესაძლებლობა დაეთვალიერებინა სკოლის შესაბამისი მატერიალური რესურსი და პირისპირ გასაუბრებოდა კათედრის წევრებს. ვიზიტის მიმდინარეობისას გამოკვეთილი მიგნებები, შეჯამების ეტაპზე, მიეწოდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ექსპერტების მიგნებები ეფუძნებოდა მოქმედ კანონმდებლობას და/ან სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების უკუკავშირი სკოლის დირექციის მიერ გაზიარებულ იქნა. საქმიანი გარემო, მოსაზრებების ურთიერთშეჯერება, მხარეთა არგუმენტირებული პოზიციები სკოლის მხარდაჭერისა და განვითარებისკენ იყო მიმართული.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის №1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს კონკრეტულ პროფესიულ სფეროში დასაქმებისათვის საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით. ამის ნათელი მაგალითია სკოლასა და პროფესიულ სასწავლებელს "ბლექსი" შორის გაფორმებული მემორანდუმი, რის საფუძველზე, მოსწავლეთათვის შეთავაზებულ იქნა სამკერვალო წარმოება. სასწავლებელმა სკოლას სრულიად უსასყიდლოდ გადასცა სამკერვალო ინვენტარი და ამ ეტაპზე, აღნიშნული სივრცე თავისი აღჭურვილობით, გადაეცა სამეწარმეო კლუბს, სადაც ისწავლება ხელსაქმე. დაწესებულება თანამშრომლობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ სასწავლებელთან, ასევე, ბათუმის ტექნოლოგიურ პარკთან.

სკოლაში შექმნილია მუსიკალური ბენდი, რომელიც ინსტრუმენტებით (დასარტყამი ინსტრუმენტები, ელექტრო გიტარები, ხმის გამაძლიერებლები და ა.შ.) უზრუნველყო აჭარის განათლების სამინისტრომ. სკოლის მიერ მოწყობილ აქტივობებს თუ ღონისძიებებს, სკოლის ბენდი აფორმებს მუსიკალურად.

სკოლას შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავს არაფორმალური განათლების ხელშეწყობის კოორდინატორი, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა შინაარსის პროექტების მართვას, ხელს უწყობს კლუბების ფუნქციონირებას, მოსწავლეთა გასვლით ღონისძიებების ორგანიზებას და ა.შ.

დაწესებულება დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს სთავაზობს საგამოცდო საგნებში ეროვნული გამოცდების იმიტირებულ პროცედურას, რაც მოსწავლეებს უადვილებს გამოცდების წარმატებით გავლას. რეგულარული, დიაგნოსტიკური წერები IV, VI, IX და XII კლასებში, ადგენს მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს და განსაზღვრავს შემდგომ ინტერვენციებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 2320	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*
ინდიკატორი		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი .3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	*სკოლის გარკვეულმა პედაგოგებმა უზრუნველყონ უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (01.09. 2023-31.10.2023წწ.).***
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებ სიტუაციებში მართვის გეგმის შეთანხმება.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

		დაწესებულებამ მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (2023 წლის 02 აგვისტოს, სკოლამ წერილით MES 2 23 0000955576, მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის თაობაზე). *სკოლამ სრულად აღჭურვოს ექიმის კაბინეტ (აღწერილობა იხ. გვერდი 38)* *დაწესებულებამ მოიპოვოს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების/მდგრადობი შესახებ, გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ.* **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (04.09. 2023-04.01 .2024წწ.).**
ინდიკატორი 3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*სკოლამ უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეებისათვის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების ხელმისაწვდომობა (II, III და IV სართულებზე), იხ. აღწერილობა, გვ. 43*

		დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (04.09. 2023-04.09.2024წწ.).
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.1.	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;*	*სასურველია, სკოლამ მისიის შედგენისას უზრუნველყოს ფორმატის კორექტირება (არსებული ვრცელია). გარდა ამისა, გამოკვეთოს მასში დაწესებულების ძლიერი*

		მხარეები და მთავარი მახასიათებლები, რაც სკოლის განვითარების პერსპექტივას წარმოაჩენს.
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*მიზანშეწონილია, სკოლას ჰყავდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.* *მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაწესებულებაში მეორე ექიმის დასაქმება*
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **დაწყებითი საფეხური**	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*სასურველია, სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაში რა სამიზნე ცნებებიც არის წარმოდგენილი, იმ სამიზნე ცნებების*

		მკვიდრი წარმოდგენები დამუშავდეს შეფასების კრიტერიუმებად.

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **საბაზო საფეხური**	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (ნ უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*სასურველია, სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაში რა სამიზნე ცნებებიც არის წარმოდგენილი, იმ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენები დამუშავდეს შეფასების კრიტერიუმებად.*
ინდიკატორი 2.1.2.4	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებ მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	*სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შეიქმნას სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარე შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა შეიქმნას საგნობრივ სტანდარტში მოცემული თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების შეფასების ინდიკატორებიდან გამომდინარე საკითხთან დაზუსტების საფუძველზე.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *საშუალო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*სასურველია, სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაში რა სამიზნე ცნებებიც არის წარმოდგენილი, იმ სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენები დამუშავდეს შეფასების კრიტერიუმებად.*
ინდიკატორი 2.1.2.4	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებ მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	*სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებები კურიკულუმებში განმავითარებელი შეფასები რუბრიკა შეიქმნას სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარე შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა შეიქმნას საგნობრივ სტანდარტში მოცემული თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების შეფასების ინდიკატორებიდან გამომდინარე საკითხთან დაზუსტების საფუძველზე.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:

• რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება" (3.1.2.3; 3.4.1.1, 3.5.1.3), ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი,,, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;

• ინდიკატორი 1.1.1.4, 1.2.1.2, 1.2.1.4, 2.2.2.1 (დაწყებითი საფეხური), 2.2.1.5, 2.2.2.1, (საბაზო საფეხური), 2.2.1.5, და 2.2.2.1 (საშუალო საფეხური) - შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, უკვე შესრულებული იყო - და ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი".

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის №1 საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) მისია და ხედვა წარმოდგენილია 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის არსებული მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და გარკვეულ შემთხვევაში, ზუსტად იმეორებს, ციტირებს აღნიშნულ დოკუმენტში არსებულ ჩანაწერს. სკოლის ახალი ფილოსოფიის შედგენას სკოლა გეგმავს ახალი სასწავლო წლისთვის. ექსპერტებმა განიხილეს არსებული მისია და ხედვა და გარკვეული რეკომენდაციები მიაწოდეს სკოლას მისიის ფორმატთან და შინაარსთან დაკავშირებით, რათა ახალ ფორმულირებას ზედმიწევნით კარგად წარმოეჩინა სკოლის იდენტობა, დაწესებულების მთავარი მახასიათებლები. კერძოდ, ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს მისიის ფორმატზე - სკოლის არსებული მისია საკმაოდ ვრცელია. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებმა, დაწესებულების ადმინისტრაციასთან ერთად, გამოკვეთეს სკოლის ძლიერი მხარეები, ის ასპექტები, რომლებიც გამოარჩევენ მას სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისგან და რომელთა ასახვა სკოლის მისიაში კარგად გადმოსცემდა დაწესებულების დანიშნულებას, სკოლის განვითარების პერსპექტივას. გარდა ამისა, არსებული მისია ზოგადი ხასიათის იყო და შინაარსი ეფუძნებოდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით წარმოდგენილ ჩანაწერს, რომელთა შესრულება ისედაც, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზანს უნდა წარმოადგენდეს. სკოლის დირექციის წევრებმა სრულად გაიზიარეს ექსპერტების რჩევები და მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ სკოლის ახალი მისიის შედგენისას/რევიზირებისას გაითვალისწინებდნენ მათ რეკომენდაციებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებმა გარკვეული რეკომენდაციებით მიმართეს სკოლის ადმინისტრაციას სკოლის მოქმედ მისიასთან და ხედვასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება არსებული მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცის ფორმირებაში. ამონარიდი მისიიდან - ,,სკოლის მიზანია მოზარდს ჩამოუყალიბოთ უნარი, იყოს

შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე, იყოს ტოლერანტი, შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე“ - უზრუნველყოფილია შემდეგი აქტივობებით: სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეების მიერ ინიცირებული სასკოლო კლუბები, სკოლაში პრიორიტეტული მიმართულებაა არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებში მრავალფეროვანი, სხვადასხვა შინაარსის აქტივობები ხორციელდება. რაც შეეხება უსაფრთხო გარემოს (ამონარიდი მისიიდან: ,,შექმნას სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე“), უზრუნველყოფილია - სკოლაში მოქმედი სტრუქტურული რგოლების და კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომლების საქმიანობით (მანდატურის სამსახური, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და ა.შ). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლას გააზრებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში მონაწილეობდა სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები. 2023-24 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს მისიის, ხედვის და ღირებულებების შედგენისას გაიზიაროს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები. კერძოდ, სკოლა სამომავლოდ გეგმავს გამოკითხვის ჩატარებას, რომლის ფარგლებშიც, გამოიკითხება მთელი სასკოლო თემი: სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, დაწესებულება იხელმძღვანელებს სკოლის ახალი ფილოსოფიის შედგენისას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **დაწესებულების ფილოსოფია გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოების მიერ, თუმცა, არა ფართო მასებისთვის/ყველა დაინტერესებული პირისთვის (მშობელი, მოსწავლე).** კერძოდ, როგორც აღინიშნა, სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები მონაწილეობდნენ სკოლის ფილოსოფიის შედგენის პროცესში და შესაბამისად, მათი თანამონაწილეობა ადასტურებს გაზიარების პროცედურებს. დაწესებულება ახალი ფილოსოფიის შედგენის შემდგომ, გეგმავს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით მის გაზიარებას (2023-2024 სასწავლო წელს) და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. **დაწესებულებამ შეადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1.4. ინდიკატორთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი**

მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო სკოლის მისიის გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის (04.09.2023-02.10.2023). შესაბამისად, ინდიკატორი, 1.1.1.4. ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი".

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოდგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფიის ნაწილში - დოკუმენტი საჯაროა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, სადაც სკოლის ფილოსოფიის გაცნობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა ,,სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის №1 საჯარო სკოლა". **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის მიმდინარეობისას, სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის №1 საჯარო სკოლამ შეიმუშავა და სკოლის დირექტორის N01-03/168, 31.08.2023წ. ბრძანებით დაამტკიცა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, აგრეთვე, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდა სკოლის დირექტორის N01-03/37, 04.04.2023წ. ბრძანება - სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე. სკოლა გეგმავს ახალ, 2023-2024 სასწავლო წელს იხელმძღვანელოს აღნიშნული დოკუმენტით და სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება ბრძანებაში წარმოდგენილი ასპექტების გათვალისწინებით უზრუნველყოს. ზემოაღნიშნული

წესი განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **დაწესებულებამ წარმოადგინა 2022-2029 წლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებული იყო 2022 წლის 7 სექტემბერს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ახალი სტანდარტები არ იყო შესული ძალაში და შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას არ ჰქონდა ვალდებულება სწორედ აღნიშნული ფორმატით შეედგინა დოკუმენტი.** გარდა ამისა, ექსპერტებმა სკოლის დირექციასთან საუბრისას ყურადღება გაამახვილეს სტრატეგიული გეგმის ფორმატზეც, კერძოდ, მასში არ იყო გამოკვეთილი სტრატეგიულ მიზნები და ამოცანები (წარმოდგენილი ველები შემდეგი იყო: აქტივობების ,,შინაარსი", ,,შესრულების დრო" და ,,პასუხისმგებელი პირები"), სადაც დეტალურად გაიწერებოდა ყოველწლიურად განსახორციელებელი აქტივობების ნუსხა. **დაწესებულებამ შეადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.2. ინდიკატორთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენა და მასში მისიასთან თავსებადი მიზნების და ამოცანების გათვალისწინება (04.09.2023-04.10.2023). შესაბამისად, ინდიკატორი, 1.2.1.2. ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი".**

3. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის სტრატეგიული გეგმის შედგენის პროცედურები და ფორმატი არ იყო კანონმდებლობის შესაბამისი, კორელაცია სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას შორის დადასტურდა დოკუმენტაციის განხილვის პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა. როგორც გაირკვა, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია ამოცანები, რომლებიც ჩაშლილია აქტივობებად. გარდა ამისა, წარმოდგენილია შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. **თუმცა, სამოქმედო გეგმაში არ იყო მითითებული გაზომვადი ინდიკატორები (რაოდენობრივი, ან, ხარისხობრივი) და შესაბამისი რესურსები (მატერიალური და/ან ფინანსური), რათა კონკრეტული აქტივობა შესრულდეს. დაწესებულებამ შეადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.4. ინდიკატორთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის**

შედგენა ისე, რომ მასში გათვალისწინებულია გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები (04.09.2023-04.10.2023). შესაბამისად, ინდიკატორი, 1.2.1.4. ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი".

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2022-2029 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის დირექტორის 01-03/168, 31.08.2023წ. ბრძანებით დამტკიცებული სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის №1 საჯარო სკოლამ შეიმუშავა და სკოლის დირექტორის N01-03/168, 31.08.2023წ. ბრძანებით დაამტკიცა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, აგრეთვე, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის მე-12 თავი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების

მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. როგორც ირკვევა, შეფასების შედეგები სკოლის დირექციას მისცემს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ვინაიდან, სკოლა ექვემდებარება პირველად ავტორიზაციას, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეაფასონ ინდიკატორი 1.2.2.2. კერძოდ, ახორციელებს თუ არა დაწესებულება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

3. ვინაიდან, სკოლა ექვემდებარება პირველად ავტორიზაციას, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეაფასონ ინდიკატორი 1.2.2.3. კერძოდ, საჯაროა თუ არა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

4. ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, შეაფასონ ინდიკატორი 1.2.2.4, ვინაიდან, სკოლა პირველად ავტორიზაციას ექვემდებარება და შესაბამისად, მას ვერ ექნება სტრატეგიული გეგმისა და გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოყენებული სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 01-03/168, 31.08.2023წ. ბრძანებით დამტკიცებული სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და დამტკიცებული აქვს 2023 წლის 10 თებერვლის №01-03/13 ბრძანების საფუძველზე საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულ პირთა თანამდებობები და რაოდენობა. ასევე, სკოლის თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან საქართველოს შრომითი კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს N01-03/151, 12.07.2023წ. სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები, სადაც გაწერილია თანამშრომელთა ფუნქცია მოვალეობები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდების თანახმად,

სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს. საქმეშია მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. ასევე, დოკუმენტები დისციპლინური კომიტეტის დაკომპლექტების თაობაზე, სადამრიგებლო პროგრამა და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები და პერსონალი შერჩეულია სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე. ფუნქცია-მოვალეობების სწორი და ზუსტი განაწილება უზრუნველყოფს დაწესებულების ეფექტიან ფუნქციონირებას. სკოლის მოქმედი სტრუქტურული ერთეულები ხელს უწყობენ სწავლა-სწავლების პროცესის კანონით დადგენილი წესით წარმართვას. ვიზიტის მიმდინარეობისას, სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული/შემუშავებული 2023-2024წწ. სამოქმედო გეგმა, თუმცა, სკოლის დირექციასთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ დოკუმენტებში მკაფიოდ იქნება გაწერილი სკოლაში დასაქმებული ყველა პირის როლი დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელების პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის 10 თებერვლის №01-03/13 ბრძანების საფუძველზე საშტატო განრიგი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- N01-03/151, 12.07.2023წ. ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სტრუქტურული ერთეულების შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საკანონმდებლო აქტები, შეხვედრების ამსახველი ოქმები).

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის N1 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ (სკოლის დირექტორის ბრძანება: N01 -03/32, 03.04. 2023წ.). ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, რომელთა მუშაობა აისახება როგორც სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ასევე, სკოლის ორგანიზაციულ განვითარებაზე. დაწესებულება აქცენტირებას აკეთებს მაღალკვალიფიციური და ახალგაზრდა კადრების მოზიდვაზე და აღნიშნულს განიხილავს, როგორც სამომავლო განვითარების პერსპექტივის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან ერთად, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში დასაქმებული პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობების, სკოლას შედგენილი აქვს და დირექტორის N01-03/52,

08.05.2023წ. ბრძანებით დამტკიცებული აქვს თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შესაბამისად, დაწესებულების მიერ შერჩეული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები პროგნოზირებადია. სკოლის შინაგანაწესი და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ინტერვენციებს, რაც პერსონალის მართვის პროცესში იჩენს თავს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას შემუშავებული აქვს დაწესებულებაში დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შესაბამისად, პერსონალის შერჩევის დროს პროცესები ორგანიზებული და გამჭვირვალეა. სკოლის მასწავლებლების შერჩევისას დაწესებულება ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოსN174/ნ ბრძანებით დამტკიცებული" მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მიხედვით. ხოლო, სხვა თანამშრომლების შერჩევა ხორციელდება სკოლის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს საკონკურსო მასალა და დაადგინეს შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, შეისწავლეს პერსონალის პირადი საქმეები. **როგორ აღმოჩნდა, გარკვეულ პედაგოგებს არ ჰქონდათ პირად საქმეში წარმოდგენილი უფლების ჩამორთმევის შესახებ. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.09.2023-31.10.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლის გარკვეულმა პედაგოგებმა წარმოადგინონ ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ.**

4. შესარჩევი კონკურსების დოკუმენტაციის და სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კანდიდატები აკმაყოფილებენ იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომელიც დადგენილია საკონკურსო კომისიის მიერ. ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს დაწესებულების Eschool - ის ბაზა. როგორც გაირკვა, სკოლის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსები და აკმაყოფილებენ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით" განსაზღვრულ მოთხოვნებს. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლაში პედაგოგები 2 მენტორი

მასწავლებლის სტატუსით, 16 წამყვანის სტატუსით და 81 უფროსი მასწავლებლის სტატუსით იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, 7 პედაგოგი მოწვეული იყო (სადაც, მაქსიმალური სამუშაო დატვირთვა შეადგენდა 9 საათს) და 1 შემცვლელი პედაგოგი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლაში პერსონალის მართვა დამყარებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. აღნიშნულზე მეტყველებს სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები, სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის ამსახველი დოკუმენტაცია. სკოლაში გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად არ ხდება. სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი გადაწყვეტილებებს ერთობლივად იღებენ, განიხილავენ სკოლის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროცესები შეჯერებულია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. როგორც გაირკვა, წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით ეფექტურად პროცესები კათედრებზე მიმდინარეობს. დაწესებულებაში სემესტრში მინიმუმ ერთხელ, კათედრის სხდომაზე პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ იმ სიახლეებს და პრაქტიკულ მაგალითებს, რომლებიც საკუთარი გამოცდილების საფუძველზე დაუგროვდათ, ან სხვადასხვა აქტივობების ფარგლებში (ტრენინგები, სემინარები) შეიძინეს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის N1 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ (სკოლის დირექტორის ბრძანება: N01 -03/32, 03.04. 2023წ.);
- დირექტორის N01-03/52, 08.05.2023წ. ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შინაგანაწესი;

- პერსონალის პირადი საქმეები;
- საკონკურსო დოკუმენტაცია;
- დაწესებულების Eschool - ის ბაზის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და შემუშავებულია დებულება (დირექტორის ბრძანება N01-03/79, 07.09.2020წ.). ჯგუფის შექმნის მიზანია, სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა,

მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის N1 საჯარო სკოლა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე - 5 თავი - ,,პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარება,,, მოიცავს თანამშრომელთა საქმიანობის, მიღწევების და კონკრეტული პროფესიული კვალიფიკაციის, ასევე, მათი სხვა პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებას წინასწარ შემუშავებული, მაქსიმალურად მორგებული შეფასების მეთოდის გამოყენებით. სკოლის თანამშრომელთა შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი პროცედურები: სკოლის პედაგოგების შეფასების პროცედურა, საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების პროცედურა და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასების პროცედურა. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასება ხდება სამსახურებრივი მოვალეობებიდან გამომდინარე, მათი პროდუქტიულობის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. კერძოდ, სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასება უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზე, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ხელს უწყობენ მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებას - სკოლის მიზნებიდან და სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, ახდენენ მათ მხარდაჭერას. მაგალითად, 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი ამოცანაა მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, რომელიც ჩაშლილია 5 აქტივობად, რომელთა შორის არის - შიდა სასკოლო ტრენინგების ორგანიზება კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების შექმნა/წარმოების თაობაზე, ტუტორების აქტიური მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში, შიდა სასკოლო კონსულტაციების გამართვა მაძიებელ მასწავლებლებთან, კოლეგების ურთიერთდასწრება და საუკეთესო პრაქტიკის ერთმანეთისათვის გაზიარება და ა.შ. გარდა ამისა, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე - 5 თავი არეგულირებს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების ძირითად ასპექტებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას. სკოლის შიდა ბაზაზე ხორციელდება გამოცდილების და ცოდნის გაზიარება, რაც ხელს უწყობს პედაგოგებს განავითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები. მაგალითად, წამყვანი/მენტორი მასწავლებლობის მსურველ აპლიკანტთა პრაქტიკული საქმიანობის შეფასების საფუძველზე, სკოლის წარდგინებით, გარკვეულ პედაგოგებს აუმაღლდათ სტატუსი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის N1 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე - 4 თავი არეგულირებს თანამშრომელთა ადაპტაციის და ორიენტაციის მექანიზმებს. სოციალიზაცია და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის ფარგლებში სკოლის დირექტორი ახალ თანამშრომელს გადასცემს თანამდებობრივ ინსტრუქციას და განუმარტავს, თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და რა მოთხოვნები იქნება წაყენებული მის მიმაართ, რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში და უსახავს ყველა იმ საჭირო ორიენტირს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ჯეროვნად შესრულებისათვის. გამოსაცდელ პერიოდში ხორციელდება დაკვირვება - თუ რამდენად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას დაწესებულებაში დასაქმებული პირი, ხოლო დასრულებისას კი, განხორციელდება მისი შეფასება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის შინაგანაწესი, ასევე, სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტი - ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ - არეგულირებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ასპექტებს, რაც თანამშრომელთა წახალისების საფუძველი შეიძლება გახდეს. სკოლის დირექციასთან საუბრისას გაირკვა, რომ თანამშრომელთა წახალისება სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა და დადებითად აისახება მათ შემდგომ საქმიანობაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.ბათუმის N1 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ მიმდინარე წლის 8 აგვისტოს დირექტორის N01-03/155 ბრძანებით დაამტკიცა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ქმნის დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს. დოკუმენტის მიზანია, სკოლაში შექმნას ერთიანი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ორგანიზებას. დოკუმენტის მე -5 თავი აღწერს სკოლაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშობის ზოგად პრინციპებს დემინგის მუდმივი გაუმჯობესების ციკლის შესაბამისად. სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან საუბრისას, ასევე, დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების (კათედრები, პედაგოგიური საბჭო) მუშაობის ამსახველი მტკიცებულებების განხილვისას გაირკვა, რომ ზემოაღნიშნული პროცესები სკოლაში რეალურად მიმდინარეობს და დადებითად აისახება სკოლის განვითარებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი პროცესებიდან ერთ-ერთი დაწესებულების მხრიდან სწავლა სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაა, რაც დასტურდება სკოლის მიერ შედგენილი სხვადასხვა დოკუმენტაციის, ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული რგოლების მუშაობის ამსახველ ოქმებში/დებულებებში/ანგარიშგების დოკუმენტებში. როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადი პროცესები - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ასევე, მონიტორინგი და შეფასება, წარმატებით ხორციელდება სკოლაში. დამხმარე პროცესები - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საბიბლიოთეკო მომსახურება, საქმისწარმოება და ა.შ. სკოლაში შეუფერხებლად მიმდინარეობს (დეტალური ინფორმაცია, წარმოდგენილია ქვემოთ). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი (სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/133, 23.06.2023წ., წესი შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთანაც). დოკუმენტი ავალდებულებს სკოლის დირექციას (პუნქტი N6) ინფორმაცია გასაჩივრების პროცედურების შესახებ მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს - მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს. საჩივრებს განიხილავს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში,

სამეურვეო საბჭო. დოკუმენტის მე-14 თავი არეგულირებს ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის წესს. დოკუმენტში წარმოდგენილია საჩივრის ფორმა (თუ რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს საჩივარი) და ინფორმაციას ,,უსაფუძვლო საჩივრების" შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. ის, რომ დაწესებულებას შედგენილი აქვს საჩივრების განხილვის მექანიზმი და ასევე ვალდებულება, რომ ზემოაღნიშნული წესის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ პირს მეტყველებს იმაზე, რომ დაწესებულებაში ხორციელდება პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საკუთარი უფლებების შესახებ. ერთის მხრივ, ეს ასახულია შესაბამის ხელშეკრულებებში (სკოლის თანამშრომლებთან და მშრობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები), ასევე, სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციაში. მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებაც ამის ნათელი მაგალითია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი (სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/133, 23.06.2023წ.);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში სასკოლო საზოგადოების და ყველა დაინტერესებული პირის აქტიურ ჩართულობას. კერძოდ, მშობლები, სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები იცნობენ სკოლის პოლიტიკის და მართვის დოკუმენტებს, დებულებებს, მარეგულირებელ წესებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ, ვინაიდან, დაწესებულება უზრუნველყოფს მათთვის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების მიწოდებას. სკოლა აწარმოებს მშობლების გამოკითხვას (კმაყოფილების კითხვარი) და გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, გეგმავს ინტერვენციებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. თითოეულის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში მიზნობრივი და კანონმდებლობით განსაზღვრულია. სკოლის სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში პედაგოგებთან ერთად მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები არიან წარმოდგენილები. მოსწავლეთა თვითმმართველობა არჩევითი ორგანოა, რომელიც ასევე მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შინაგანაწესი;
- სტრუქტურული ერთეულების შექმნის და მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.ბათუმის N1 საჯარო სკოლის წესრიგს უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები, დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით დაკომპლექტებულია მრჩეველთა საბჭო, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება. **სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ექსპერტებმა რჩევით მიმართეს დაწესებულებას, აღნიშნული კადრის სკოლაში დასაქმების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით (რჩევა).** დაწესებულებას სკოლის დირექტორის N01-03/166, 31.08.2023წ. დამტკიცდა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმი, რომლის მიზნებიდან ერთ-ერთი სკოლის

ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების ნუსხაა წარმოდგენილი. დოკუმენტის მე-7 თავი შეიცავს ინფორმაციას სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ. **თუმცა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა დაწესებულებას არ წარმოუდგენია.**

სკოლას არ აქვს მიღებული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. მიმდინარე წლის 02 აგვისტოს, სკოლამ წერილით MES 7 23 0000955576, მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის თაობაზე.

სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. თუმცა, სკოლის ექიმის კაბინეტი არ აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილ რეგულაციებს. კერძოდ, **სრულად არ არის აღჭურვილი ექიმის კაბინეტი** (არ არის შეძენილი პულსოქსიმეტრი, ხელის დინამომეტრი, ინჰალატორი, კისრის ფიქსატორი, სპეციალური ცხრილი მხედველობის შესამოწმებლად) და ასევე ექსპერტებმა სკოლას მიმართეს **რეკომენდაციით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობიდან გამომდინარე, მეორე ექიმის დასაქმების თაობაზე (რჩევა).**

ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტი - ,, სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმების შესახებ,, (დამტკიცებული დირექტორის N01.03.38, 04.04.2023 ბრძანებით), თუმცა, ვინაიდან ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და საგანგებო სიცუაციებზე რეაგირების შესახებ დასკვნები არ არის სკოლის პრეროგატივა, ექსპერტები ზემოაღნიშნულ დოკუმენტში მხოლოდ სამედიცინო დახმარების წესს გაეცნენ, სადაც მე-2 მუხლი მუხლი ეთმობა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს.

ასევე, სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ). თუმცა, მიმდინარე 21 ივნისს, სკოლამ წერილით MES 2 23 0000735241 მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 04.09.2023-04.01.2024წწ. ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმება, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება და ექიმის კაბინეტის სრულყოფილად აღჭურვა.

2. დაწესებულება ხელმძღვანელობს 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" №06/ნ ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის დირექციასთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება აქტიურად იყენებს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური ცენტრის მომსახურებას და შესაბამისად, ამ გზით უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. გარდა ამისა, კლასის დამრიგებლები და სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები, უზრუნველყოფენ გამოკვეთილ სირთულეებზე რეაგირებას და მოსწავლეთათვის მხარდაჭერის შეთავაზებას. სკოლაში ტარდება სხვადასხვა აქტივობები (მაგალითად, „ბულინგის" კვირეული), რომელიც მიმართულია მოსწავლეთა სამოქალაქო შეგნების და სკოლისადმი პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბებისკენ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლაში დასაქმებული ტექნიკური პერსონალი (12 დამლაგებელი) უზრუნველყოფენ სკოლის მთელი პერიმეტრის, მათ შორის, სველი წერტილების სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის ექიმიც ჩართულია მონიტორინგის პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ (ბრძანება N01-03/35, 03. 04.2023წ.). ზემოაღნიშნული დოკუმენტი ავალდებულებს დაწესებულებას დაიცვას პერსონალური მონაცემები ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. როგორც უკვე აღინიშნა, მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშიც შეიცავს მონაცემებს დაწესებულების მიერ მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ (ბრძანება N01-03/35, 03. 04.2023წ.), სადაც მე-3 მუხლი ასახავს მონაცემთა დაცვის ძირითად ასპექტებს. სკოლის დირექციასთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება უზრუნველყოს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას გარეშე პირებისგან, კანონით დადგენილი წესით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას ახორციელებს სკოლის დირექცია. შეფასების შედეგები აისახება სკოლის სამოქმედო გეგმაში, რომლის საფუძველზეც, ხორციელდება არსებული ნაკლოვანებების გამოსწორება ან/და გაუმჯობესება. სკოლაში დამკვიდრებული ანგარიშგების სისტემა, ასევე, ნათელს ხდის სკოლაში ამ მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის N01-03/166, 31.08.2023წ. დამტკიცებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმი;
- სკოლის წერილი - MES 7 23 0000955576, მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის თაობაზე;
- ექიმის პირადი საქმე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ ბრძანება N01-03/35, 03. 04.2023წ.;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ (ბრძანება N01-03/35, 03. 04.2023წ.)

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ქალაქ ბათუმში, დემეტრე თავდადებულის N47 ნომერში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართით 2639.00 კვ.მ, განთავსებულია ორი შენობა ნაგებობა საერთო ფართით 3931.24კვ.მ და 1673.8კვ.მ. ვიზიტის პერიოდში, სკოლაში ირიცხებოდა 2176 მოსწავლე, რომლებიც სასწავლო პროცესს ახორციელებდნენ ორ ცვლაში. აღსანიშნავია, რომ სკოლის სახურავზე განთავსებულია მზის პანელები, რომელიც ელექტროენერგიის კომუნალური გადასახადიდან ათავისუფლებს სკოლას, რაც მნიშვნელოვანი შეღავათია დაწესებულებისათვის. მოსწავლეები გადანაწილებულნი არიან ორ, ოთხსართულიანი კორპუსში. დაწესებულებაში სულ 40 საკლასო ოთახია. პირველ კორპუსში 30 საკლასო ოთახია. მათ შორის: პირველ სართულზე 4 საკლასო ოთახი, მეორე სართულზე 8 საკლასო ოთახი, მესამე სართულზე 9 საკლასო ოთახი და მეოთხე სართულზე - 9 საკლასო ოთახი; მეორე კორპუსში სულ 10 საკლასო ოთახია. მათ შორის: პირველ სართულზე - 3, მეორე სართულზე - 4, მესამე სართულზე - 3 . I კორპუსში პირველ და მეორე სართულებზე საკლასო ოთახების გარდა არის სამედიცინო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, რესურს ოთახი, კანცელარია, ლაბორატორია, სამასწავლებლო და

მანდატურის ოთახი. ამავე კორპუსში არის ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის კლას-კაბინეტები. II კორპუსში საკლასო ოთახების გარდა არის: სასკოლო ბუფეტი, ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი, ადმინისტრატორის ოთახი, თვითმმართველობის ოთახი და სააქტო დარბაზი. ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. 24 საკლასო ოთახში დამონტაჟებულია პროექტორები. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ, ფრენბურთის ბადე და კალათბურთის ფარები. სკოლას არ აქვს გარე სპორტული მოედანი. სკოლის ბიბლიოთეკაში 5795 წიგნია. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელო, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები. წიგნები აღრიცხული და დამუშავებულია კანონით დადგენილი წესით. სკოლის მეორე სასწავლო კორპუსის სახურავი საჭიროებს რეაბილიტაციას, რისთვისაც სკოლამ მიმართა შესაბამის უწყებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლის ბიბლიოთეკაც საკმაოდ მოცულობითი სივრცეა, აქვს სამკითხველო და როგორც გაირკვა, იქ ყოველთვის ხალხმრავლობაა - მოსწავლეები და მასწავლებლები იყენებენ საბიბლიოთეკო რესურსს. გარდა ამისა, იქ ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი. როგორც უკვე აღინიშნა, სსსმ მოსწავლეებისათვის დაწესებულების სრული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის მიზნით, კაბინეტები განთავსებულია პირველ სართულზე. არის ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის მეორე შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი. **თუმცა, სსსმ მოსწავლეებისათვის არ არის ხელმისაწვდომი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, რომლებიც პირველ კორპუსში არის განთავსებული (II, III და IV სართულებზე). დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 04.09.2023-04.09.2024წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე**

შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის.

4. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის შენობაში არსებული კაბინეტები, სივრცეები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის. სააქტო დარბაზში და ბიბლიოთეკაში ხშირად იმართება სხვადასხვა ღონისძიებები - დაწესებულება არაფორმალური განათლების მიმართულებით მრავალ აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის N1 საჯარო სკოლაში არის სასწავლო პროცესისთვის საჭირო შემდეგი რესურსები: სასკოლო ბიბლიოთეკა, რომელშიც არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები და სხვადასხვა მხატვრული ლიტერატურა, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები, მულაჟები და სხვ.). კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტში ჩართული 29 კომპიუტერით და პროექტორებით აღჭურვილი 24 საკლასო ოთახი. სკოლა უზრუნველყოფილია აგრეთვე აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მუდმივი ინტერნეტით, სკოლას საბუნებისმეტყველო საგნების ეფექტურად სწავლებისათვის აქვს ლაბორატორიები შესაბამისი აღჭურვილობით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- შენობის აზომვითი ნახაზი;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოლის წერილი MES 2 23 0000735241 - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია ასევე, დაწესებულების სარგებლობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 29 ერთეული ტექნიკა. გარდა ამისა, კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია ადმინისტრაციისათვის განკუთვნილ სივრცეებში (9 კომპიუტერი,) ბიბლიოთეკაში -1 კომპიუტერი. აღსანიშნავია, რომ პროექტორებით აღჭურვილი 24 საკლასო ოთახი. გარდა ამისა სკოლას აქვს 25 პორტატული კომპიუტერი. სკოლა აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში, რაც დადებითად აისახება სტრუქტურული ერთეულების მუშაობაზე, სწავლა-სწავლების პროცესზე და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასკოლო რესურსით სარგებლობის წესი (დირექტორის ბრძანება N01-03/157. 08.08.2023წ.)., რომლის ერთი თავი ეთმობა სკოლის კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით სარგებლობის წესებს. სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის ძირითადი პრინციპებია მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა და ხელმისაწვდომობა. პედაგოგებიც აქტიურად იყენებენ სკოლის კომპიუტერულ რესურსს საქმიანობისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სასკოლო რესურსით სარგებლობის წესი (დირექტორის ბრძანება N01-03/157. 08.08.2023წ.).

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია (სკოლის დირექტორის ბრძანება: N01-03/02, 15.01.2018წ.), რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებს, ელექტრონულ და მატერიალურ დოკუმენტბრუნვის სისტემას. დაწესებულებაში კანონით დადგენილი წესით იწარმოება

სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც ექსპერტებმა ვიზიტის მიმდინარეობისას დაათვალიერეს და დაადგინეს შესაბამისობა საქმისწარმოების წესთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის გამოყენების საშუალებით, შესაბამისი პროგრამის - ,,eflow"-ის მეშვეობით. დაწესებულება აქტიურად იყენებს Microsoft Teams – ის ელექტრონულ პლატფორმას შეხვედრების ორგანიზებისთვის, დოკუმენტაციის/მასალის გაზიარებისთვის. სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: batumi1@mes.gov.ge – კომუნიკაციის ეფექტური საშუალებაა. სკოლას აქვს ვებ. გვერდი: https://skolebi.emis.ge/ **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს სკოლის პროფილი. როგორც გაირკვა, სკოლას სრულყოფილად აქვს შევსებული ყველა ველი. არჩეული აქვს სახელმძღვანელოები, შეტანილი აქვს სკოლის პერსონალის და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. სკოლა უზრუნველყოფს ანგარიშების წარდგენას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ანგარიში წარედგინება პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ მინისტრს. სკოლის ფინანსური დოკუმენტაცია (სკოლის ბალანსი) ასევე, კანონით დადგენილ ვადებში და წესით, წარედგინება ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ინსტრუქცია (სკოლის დირექტორის ბრძანება: 01-03/02, 15.01.2018წ.);
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვიზუალური დათვალიერება;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - EFLOW - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას აქვს ვებ. გვერდი: https://skolebi.emis.ge/ და მასზე განთავსებული ინფორმაცია უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას. სკოლას აქვს შესაბამისი გვერდი სოციალურ ქსელში, სადაც 9 ათასამდე მიმდევარი ჰყავს. როგორც ინტერვიუირებისას გაირკვა, სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყენებენ საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სკოლის მართვასთან თუ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია გაზიარებული იქნას. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს სიახლეებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, კერძოდ, სკოლის მიერ დამტკიცებული და ოფიციალური

სტატუსის მქონე დოკუმენტების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის ხორციელდება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. პირისპირ კომუნიკაციის საფუძველზე ან სოციალური ქსელში, ელექტრონულ ფოსტით მიღებული უკუკავშირი სკოლისათვის საქმიანობის გაუმჯობესების, ინტერვენციების განხორციელების საფუძველია. სკოლას შედგენილი აქვს მშობლებთან კომუნიკაციის წესი, რომელიც არეგულირებს მშობელსა და სკოლას შორის არსებული ურთიერთობების ძირითად ასპექტებს და შედეგად, უზრუნველყოფილია შესაბამისი ცვლილებები - როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა აწარმოებს მშობლების გამოკითხვას (კმაყოფილების კითხვარი) და გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, გეგმავს ცვლილებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. სკოლას აქვს ვებ. გვერდი: https://skolebi.emis.ge/ და მასზე განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. ვებ. გვერდი/ვებ. გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ. გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექიმის თანამდებობრივ სარგოს, სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. სკოლას ეკონომიკური საქმიანობიდანაც აქვს გარკვეული შემოსავალი (იჯარა). სკოლა ფინანსურად მდგრადია და აქვს შესაძლებლობა მაქსიმალურად დააკმაყოფილოს სკოლის საჭიროებები, აღჭურვოს იმ რესურსით, რაც აუცილებელია სკოლის განვითარებისა და დასახული მიზნების მისაღწევად. როგორც უკვე აღნიშნა, სკოლა არ იხდის ელექტროენერგიის გადასახადს სახურავზე დამონტაჟებული მზის ბატარეების გამო, რაც მნიშვნელოვანი ფინანსური შეღავათია დაწესებულებისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. დაწესებულებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა. როგორც უკვე აღინიშნა, ბიუჯეტის და შესყიდვების გეგმის დამტკიცება ხორციელდება კანონით დადგენილი წესით და ვადებში. ექსპერტებმა

განიხილეს სკოლის შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის, 2023-2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს სკოლის დირექტორი, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შეაქვს სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინება სკოლის ფინანსური საქმიანობის, გაწეული ხარჯებისა და შედეგების შესახებ ანგარიში, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023-2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შედგენილი აქვს შრომის შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს N3, 07.09.2022წ. სხდომაზე. მისი დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. შინაგანაწესში წარმოდგენილია ის წესები და პირობები (გასაჩივრების უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება და ა.შ.), რომელთა გათვალისწინებით ხდება სკოლაში მოსწავლის უფლებების დაცვა. მაგალითად, შინაგანაწესის მე -13 მუხლი ,,დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები" დეტალურად აღწერს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მოსწავლის უფლებების დარღვევად - მოსწავლეზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მოსწავლის პირად ცხოვრებაში ჩარევა, მოსწავლის სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფა ან/და მოსწავლის ფიზიკური დასჯა - ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. გარდა ამისა, სკოლას აქვს შედენილი და დირექტორის N01-03/166, 31.08.2023წ. დამტკიცებული ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები, სადაც ასევე, დეტალურად არის აღწერილი მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებაც მოიცავ სკოლის ვალდებულებებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიმართულებით. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების ძირითადი ასპექტები. სკოლას დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ დაამტკიცა დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმებს (ბრძანება N01-03/167, 31.08.2023წ.), რომელიც

აღწერს ძირითად ასპექტებს სკოლის მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მიმართულებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულება შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. ზემოაღნიშნული რეგულაციები საჯაროა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის - შინაგანაწესი გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. პროცესების გამჭირვალობას უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და სკოლაში დასაქმებული პირები. სკოლაში დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი, რომელთა შემადგენლობაში მასწავლებლებთან ერთად მშობლები და მოსწავლეები არიან - შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია ჩართულია დისციპლინურ წარმოებაში, რაც მათ გამჭირვალობას განაპირობებს. გარდა ამისა, კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეებთან დაკავშირებული ინფორმაციის, ასევე, სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ მონაცემების მიწოდებას მშობლებისათვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებელ ხელშეკრულებაში გაწერილია მხარეთა უფლება მოვალეობანი. ხელშეკრულების მე - 4 მუხლი ეხება მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების ასპექტებს, სადაც მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ხელმოწერით აცხადებს თანხმობას, მისი და მისი შვილის პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა საგანმანათლებლო/სასწავლო პროცესში, სკოლის მიერ დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სკოლასა და მშობელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში;

- სადამრიგებლო დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დისციპლინური კომიტეტის დებულება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი,,, რომელიც დამტკიცებულ იქნა სკოლის დირექტორის N01-03/150, 12.07.2023წ. ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ,, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04/ნ, 11/01/2017წ, ბრძანების, ასევე, ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ,, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 193/ნ, 19/09/2012წ. ბრძანების და ,,ეროვნული სასწავლო გეგმის

დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დადგენილ რეგულაციებთან (საფეხურის დაძლევა). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს სკოლის შიდა დოკუმენტაცია და დაადგინეს შესაბამისობა სკოლის მიერ შედგენილ რეგულაციებს და რეალურად მიმდინარე პროცესებს შორის. კერძოდ, სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კლუბებისა და წრეები სახით, რომელიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. კერძოდ, სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმა წარმოდგენილია სკოლის ვებ გვერდზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწესებულების მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს ვებ. გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას, აქტივობებს და ემსახურება ინფორმირებულობას. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა. სკოლის ვებ. გვერდზე ასახულია სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი,,, დამტკიცებული სკოლის დირექტორის N01-03/150, 12.07.2023წ. ბრძანებით.

- სკოლის ვებ. გვერდი და სოციალური ქსელის შესაბამისი გვერდის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია მოსწავლის მხარდაჭერასა და განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია. კერძოდ, სკოლის შინაგანაწესი და სადამრიგებლო პროგრამები. ასევე, მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებითა უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას, ხოლო სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში დამატებით პროცესში ერთვებიან სპეციალური მასწავლებლები და ასისტენტები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და საზოგადოებასთან. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში ხდება ისგ ჯგუფების შექმნა, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამასთანავე მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება კონკურსის გამოცხადების გზით ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასაქმება. საუბრისას, სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოსოციალური ცენტრის ფსიქოლოგების მომსახურებას და ადაპტაციის პროცესის გართულების შემთხვევაში, ხორციელდება მათი ჩართვა პროცესებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლა მოსწავლეს სთავაზობს აკადემიურ მხარდაჭერას, როდესაც თავს იჩენს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებმა დეტალურად გამოიკვლიეს მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმები. კერძოდ, როგორც გაირკვა, სკოლა ჩართულია პროექტში "შეფასება განვითარებისათვის" , რომელსაც გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი ატარებს. სკოლამ აღნიშნული აქტივობის ფარგლებში დაწესებულებისათვის მიწოდებული შედეგები დაამუშავა და გამოიყენა მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. სამომავლოდ, სკოლა გეგმას უფრო მასშტაბური გახადოს რემედიაციული პროცესები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მაგალითად, სკოლის ექსტერნის, სემესტრული გამოცდების თუ საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წინ ყველა მოსწავლეს. წინასწარ შექმნილი გრაფიკის საფუძველზე. უტარდებათ კონსულტაციები.

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად სკოლამ ვიზიტის დროს ექსპერტებს წარუდგინა მტკიცებულებები, რამაც დაადასტურა პროცესების მიმდინარეობა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლამ, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დასაქმებული ჰყავს არაფორმალური განათლების ხელშეწყობის კოორდინატორი, რომლის საქმიანობა მრავალფეროვანია და დადებითად აისახება მოსწავლეთა განვითარებაზე. დაწესებულებას მემორანდუმი აქვს გაფორმებული ბათუმის „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლთან“, ასევე, ,,ბათუმის ტექნო პარკთან,,. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სოციალური პროექტები, მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული აქტივობები. ასევე, დაწესებულება აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებშიც - თანამშრომლობს ბათუმის ამერიკულ კუთხესთან და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის №1 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია აცნობიერებს, რომ მშობელთა/მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული სკოლის მართვის სტრატეგიები დადებითად აისახება დაწესებულების განვითარებაზე. როგორც ირკვევა, მშობელთა კმაყოფილების დონის დასადგენად, სკოლამ ჩაატარა კვლევები. შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმა შესაბამისი ინტერვენციები. სკოლამ კონკრეტული მაგალითით დაადასტურა, რომ კვლევების შედეგები რეალურად იქნა გათვალისწინებული. მაგალითად, მშობლები აღნიშნავდნენ, რომ მათ სურდათ უფრო ეფექტური კომუნიკაცია სკოლის მხრიდან. დაწესებულებამ შეიმუშავა სპეციალური ფორმები, რომლებიც შეიცავდა ყოველთვიური ინფორმაციას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების და გაცდენების შესახებ. გარდა ამისა, წელიწადში ერთხელ სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე ხორციელდება მოსწავლეთა ანონიმური გამოკითხვა, რაც მინიმუმამდე ამცირებს ცთომილებას გამოკითხვის შედეგების კუთხით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა და გაკვეთილების ჩატარების განრიგი. საკმაოდ შთამბეჭდავია სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობების შინაარსი და გულისხმობს როგორც ორგანიზაციების, უმაღლესი დაწესებულებების წარმომადგენლების თუ პროფესიული სასწავლებლების თანამშრომლების ვიზიტს სკოლაში, ასევე, ექსკურსიებს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც უდავოდ, მოსწავლეებს დაეხმარება პროფესიის შერჩევის პროცესში. საუბრის დროს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მოსწავლეთა დაინტერესება და აქტივობებში ჩართულობა მაღალი იყო.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა გარკვეული სიხშირით აწვდის სკოლის მოსწავლეებს ინფორმაციას კარიერული შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით, რასაც მოწმობს სკოლის მიერ შედგენილი, მრავალფეროვანი აქტივობების ნუსხა. მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდება კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მეშვეობით. კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია მიეწოდება მშობელთა კრებებზე და ინდივიდუალურ შეხვედრებზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. როგორც უკვე აღინიშნა, მშობელთა კმაყოფილების დონის დასადგენად, სკოლამ ჩაატარა კვლევები, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ, სასკოლო საზოგადოების აზრი სკოლისთვის მნიშვნელოვანია და განსაზღვრავს მისი ქმედებების შემდგომ ნაბიჯებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კითხვარები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებულია და სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლების პროგრამა. დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. ინდივიდუალური გეგმები შედგენილია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, სკოლის ისგ-ს ჯგუფების მიერ. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 30 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას ინკლუზიური სწავლების პროცესში. მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე ზრუნავენ საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები, პერსონალური ასისტენტი, დირექცია, მშობელი, მოსწავლეები. ტარდება სხვადასხვა ტიპის აქტივობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლას არ შეუთავაზებია მოსწავლეებისათვის არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა). თუმცა, სკოლაში არსებული წრეები და კლუბები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ინტერესის შესაბამისი მომსახურების გაწევას. სკოლას იჯარის წესით აქვს გაცემული კვების ობიექტი, რომელიც მდებარეობს შენობის პირველ სართულზე. საიჯარო დოკუმენტაცია და სკოლის მიერ განხორციელებული ქმედებები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულების მხრიდან ინიცირებულია სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის, კლუბური მუშაობა, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულები მოსწავლეები. არაფორმალური განათლების მაღალი წილიც ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. დაწესებულებაში ყველანაირი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადი ნორმების დაცვით და გათვალისწინებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს, მათ შესაძლებლობებს. კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ერთმანეთის მოსაზრებებს, მშობელთა სურვილებსა და ადმინისტრაციის ინტერესებს. მშობელთა კრებებზე და მასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებზე მიმდინარეობს ზეპირი განხილვები. კურიკულუმის შემუშავებისას დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ინაწილებენ კლასებს, ირჩევენ მოსწავლეებზე მორგებულ თემებს და შემდეგ კათედრაზე სამუშაო შეხვედრის ფორმატში განიხილავენ მათ . საბოლოო ვერსიას ადმინისტრაციას , მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ და მათგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით შეაქვთ ცვლილებები საბოლოო ვარიანტში. ინტერვიუში მასწავლებლები

აღნიშნავენ: ,, ახალი სასწავლო წლისთვის შემუშავებული კურიკულუმის პირველად ვერსიას წლის დასაწყისში გავაცნობთ სასკოლო საზოგადოებას, მათ მოსაზრებებს დავაფიქსირებთ ანგარიშის ფორმაში, რომლის გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის საბოლოო ფორმას შევქმნით.**„ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს და აკადემიურ უნარებს. ასევე გათვალისწინებულია ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილ სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობა და მშობელთა ინტერესები. სკოლას აქვს სასკოლო - სასწავლო გეგმა, სადამრიგებლო პროგრამები, რომელთა შინაარსი აგრეთვე გათვალისწინებულია სხვადასხვა საგნის შინაარსობრივი საკითხების შერჩევისას და კურიკულუმში ისეთი კომპლექსური დავალებებია გაწერილი, რომელთა შესრულება სასკოლო სივრცეში შესაძლებელია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ: მოსწავლეების ინიციატივები, მათი საჭიროებები განაპირობებს კომპლექსური დავალების მრავალფეროვნებას; სხვადასხვა კლასის მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე ერთად მუშაობენ, საბოლოო ვერსიას განიხილავენ ადმინისტრაციასთან და მშობლებთან ერთად. მშობლებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალების ბარათები. შემდეგ მათ დეტალურად აცნობენ მშობელთა კრებებზე, განიხილავენ კათედრებზე. სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის შეიმუშაონ კითხვარის ფორმები, რათა სასკოლო საზოგადოების წევრებმა თავიანთი ხედვა დააფიქსირონ. სამომავლოდ შესაძლებელია გამოიკითხნენ მშობლები - როგორ მიიღებენ მონაწილეობას კომპლექსური დავალებისა და მნიშვნელოვანი აქტივობების შემუშავებასა და განხორციელებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ კურიკულუმის გაზიარება ხდებოდა სასკოლო საზოგადოებაში ძირითადად მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. მშობლებს მასწავლებლები უგზავნიდნენ კომპლექსური დავალებების ბარათებს. დაწყებით საფეხურზე ყველა კლასის კურიკულუმის პირველადი (არასრული) ვერსიაა წარმოდგენილი. ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება დასაწყისშივე გააცნონ მშობლებს, ბავშვებსა და ადმინისტრაციას კურიკულუმის ჩარჩო, საფეხურის ბოლოს მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები და შუალედურ მიზნებად შერჩეული კომპლექსური დავალებები . მასწავლებლები გეგმავენ, გაუზიარონ ყოველივე მშობლებს ელექტრონული ფორმით, მიაწოდონ კითხვარი, რომლითაც მათ აზრს გაიგებენ. იგეგმება წლის დასაწყისში ერთი შეხვედრა გააკეთონ სკოლაში, სადაც ყველა მასწავლებელი მოკლედ გააცნობს წლიურ პროგრამას და კომპლექსური დავალებების მთავარ იდეას, აგრეთვე შეფასების ფორმებსა და კრიტერიუმებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მსობლებთან მჭიდრო კავშირი აქვთ დირექციის

წევრებსაც, კერძოდ, დირექტორის მოადგილეებს, რომლებიც სხვადასხვა ტიპის კვლევებითა და გამოკითხვებით სისტემატიურად უზიარებენ მშობლებს სკოლის სიახლეებსა და შემდეგ განიხილავენ ამ გამოკითხვის სტატისტიკურ ანალიზს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- I-VIკლასების საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის სხდომის ოქმები
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- მშობელთა გამოკითხვის სტატისტიკური ანალიზი

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, სწავლის პროცესი განიხილება როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა-სწავლები

პროცესის დაგემვაზე. სამიზნე ცნებების კომპონენტი სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმასა და მოქმედებას განაპირობებს. შესაბამისად, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება ისეთი კომპლექსური დავალების პირობის შემუშავებას, რომელიც გააქტიურებს მოსწავლის ფანტაზიას, გამოიწვევს მოსწავლეს და ცნობისმოყვარეობით შეეცდება პროდუქტის შექმნას. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმებში ვხვდებით საინტერესო კონტექსტ მაგალითებს, მასწავლებლებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალებებით სწავლების პრაქტიკაზეც და თვლიან, რომ სასწავლო პროცესში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვით, კერძოდ, კომპლექსური დავალებების კეთებით მოსწავლეს ეძლევა საშუალება სხვადასხვა ვარაუდები და მოსაზრებები გამოთქვას რაც სასწავლო პროცესში მათი კმაყოფილების საწინდარია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუქციური 6 უნარი)მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები.**

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ყველა კომპლექსური დავალება მიემართება სამიზნე ცნებებისა და მისაღწევიშედეგებისაკენ, საგნობრივი ექსპერტები თვლიან, რომ შემუშავებული კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, მასწავლებლის თვითრეფლექსია და ურთიერთშეფასების რეფლექსია საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემა, სამიზნე ცნება, სასწავლო რესურსები. ფლობენ განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს. თუმცა, **სახელმწიფო ენის** კურიკულუმები ვერ ფარავს ყველა მკვიდრ წარმოდგენას, ასევე ვერ ხერხდება 6 ფუნქციური უნარის სრულად დაფარვა საფეხურის ფარგლებში. მაკრო ცნებები არაა გამოყოფილი ყველა კომპლექსური დავალებებისთვის. **საზოგადოებრივი** მეცნიერებათ აკურიკულუმებში კი ხდება თემაში სამიზნე ცნებების დამუშავება არასათანადოდ, საგნებში ყველა თემაში არ არის გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნების დამუშავება კომპლექსური დავალებებით, რომლის დაახვეწად ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს. არ იკვეთება თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგები, რადგან სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები არ მუშავდება სათანადო დონეზე, რადგან კომპლექსურ დავალებებში შეფასების კრიტერიუმები სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე არაა მორგებული. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, მომდევნო წლის კურიკულუმში კომპლექსური ბუნების დავალებების დაწერისას გაითვალისწინონ და თემები დააკავშირონ ფუნქციურ უნარებთან და მაკროცნებებთან . **მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაში რა სამიზნე ცნებებიც არის წარმოდგენილი, იმ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენები დაამუშაონ შეფასების კრიტერიუმებად.**

დაწყებითი სწავლების კათედრას აქვს მზაობა ერთობლივი მუშაობით შეჯერდნენ კომპლექსური დავალების პირობებზე და კარგად გამოიყენონ კონტექსტ მაგალითები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს**

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს, სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას ისე მოახდენენ პედაგოგები, რომ სსსმ მოსწავლის უნარები და შესაძლებლობები იქნეს გათვალისწინებული**.** ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სექტემრიდან სკოლაში სექტემბრიდან გეგმავენ სისტემატიურად ჩაატარონ სადიაგნოსტიკო წერები რათა მოსწავლეთა ნამუშევრების შეგორვებისა და ანალიზის საფუძველზე შეძლონ მათი ძლიერი მხარის გამოვლენა და აღწერონ დინამიკის პროცესი: სად იყო მოსწავლე და სად მივიდა კონკრეტული ინტერვენციის პროცესში. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ მოსწავლისათვის შეფასება უნდა იყოს დამკვალიანებელი რათა მოსწავლემ შეძლოს გაანალიზოს როგორ გააუჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი. განსაკუთრებით საყურადღებოა სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც ერთიან დოკუმენტად სკოლამ ვერ წარმოადგინა, თუმცა ცალ-ცალკე ჩაშლილია სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში და ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება მისი ერთიან დოკუმენტად ჩამოყალიბება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე, განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწვალის შეფასების მექანიზმად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ინდიკატორი **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილებასა და მის ანალიზზე დაფუძნებით, არსებული გამოწვევებისა თუ მიგნებების გათვალისწინებით, იგი თვლის, რომ კურიკულუმების დანერგვისას შექმნას 2023–2024 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები. ეს ფაქტი ნათლად იკითხება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში იმდენად, რამდენადაც სკოლის მიერ დაგეგმილია უწყვეტად კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება. სკოლასთან ვიზიტისას რევიზირების პრაქტიკულ გამოცდილებას დამაჯერებლად გაესვა ხაზი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწყებით საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, როგორც ინტერვიუშიც აღნიშნეს, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით იქმნება. კურიკულუმების დანერგვა და განხორციელება მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა, რამეთუ თემები და აქტივობები მოსწავლეს სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილეს ხდის. კომპლექსური დავალებების შესრულებისას სხვადასხვა პროდუქტის შექმნა მოსწავლეებისთვის აქტიური შემოქმედებითი პროცესია. თანამედროვე ცხოვრებისეული მაგალითების, პრობლემური სიტუაციების განხილვით მოსწავლეებს სირთულეების დაძლევის გზებს, ამიტომაც ისინი შემოქმედებითად უდგებიან საკითხთა შესწავლას. ამაში მათ სასწავლო შემოქმედებითი პროექტებიც დაეხმარება. სასურველია, მომავალში კათედრამ უფრო მეტი გააკეთოს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის მიზნით.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ახალი ცოდნის აგება(კონსტრუირება) ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლემ შეძლოს ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა. ამას მიუთითებს კომპლექსური დავალების აქტივობები, რომლებიც იგეგმება მხოლოდ წინარე ცოდნისა ან გამოცდილების გათვალისწინებით. წინარე ცოდნა ერთგვარი ინსტრუმენტია ახალი ცოდნის კონსტრუირებისთვის, როდესაც ხდება ნაცნობი ინფორმაციიდან უცნობისაკენ წარმართვა. წლის მანძილზე მოსწავლე სხვადასხვა თემის შესწავლისას მუშაობს ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე. ამის გამო, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული საკითხების შესწავლა მოსწავლისათვის ხდება სვლა ნაცნობიდან ახალი მასალის შეცნობისაკენ. ეს კი მოსწავლეების მოტივაციას ზრდის. წინარე ცოდნაზე დაფუძნებული რესურსები ემსახურება ნასწავლი მასალის გახსენებას, რომლებიც მუშავდება საგნის სამიზნე ცნებების გააზრებით სხვადასხვა კლასში მრავალფეროვანი საკითხების საშუალებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიების საშუალებით და აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის საუკეთესო პრაქტიკაა ცდებისა და პრაქტიკულ/ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება, რომლითაც მოსწავლეს საშუალება იძლევა თავად გახდეს პროცესის წარმმართველი, დააკვირდეს და გაანალიზოს ცდის შედეგები. სკოლას აქვს საბუნესიმეტყველო მეცნიერებისათვის განკუთვნილი, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, სამივეს აქვს ცალკე ოთახი, საპრეპარატორო, რომელშიც ქიმიური რეაქტივები შესაბამისი წესის დაცვითაა შენახული, აქვეა ფიზიკისა და ბიოლოგიის სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყოები და მულაჟები.

დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებიდან კომპლექსური დავალებების ნიმუშებიდან და საგნობრივ სასწავლო პროექტებიდან ჩანს, როგორ გამოიყენება სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი მეთოდები დამოუკიდებლად ცოდნის ასაგებად. კომპლექსური დავალებების ანალიზისთვის მოსწავლეთა მხრიდან რეფლექსიები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების გამოყენება მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუში მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში ისინი ფასილიტატორის როლს ირგებენ და მოსწავლეებს უბიძგებენ, დაკვირვებებით და აღმოჩენებით შეძლონ ცოდნის დაგროვება, აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებული ცოდნის სამ კატეგორიაზე დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); კათედრაზე წარმოდგენილ პირველად კომპლექსური დავალების ნიმუშებში ჩანს ცოდნის სამი კატეგორიისკენ მიმართული შეკითხვები. ყველა აქტივობის წარმართვისას გამოიყენება შეკითხვები რომლებიც ეყრდნობა გარკვეულ რესურსებს და მიემართება სხვადასხვა ცოდნის დაუფლებისკენ. ეს კი აადვილებს სამიზნე ცოდნის საშუალებით ახალი ცოდნის კონსტრუირების პროცესს, რადგანაც თეორიული ცოდნის შეძენისა და პრაქტიკული დავალებების განხორციელების შემდეგ მოსწავლე ემზადება ფუნქციური ცოდნის წარდგენისთვის. ამ ეტაპზე ყველა კომპლექსურ დავალებაში ჩანს ცოდნის სამი კატეგორიისთვის მიმართული შეკითხვები, რომლებიც იკვეთება გეზის მიმცემ აქტივობებში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დაწყებით კათედრაზე სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები, სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება სკოლის მიერ ამოიკითხება არაფორმალურ, პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებში. ასევე სხვადასხვა თემატიკის გაკვეთილებში, სადამრიგებლო საათების ჩატარების ოქმებსა თუ მშობლებთან თანამშრომლობის ამსახველ ანგარიშებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- ინტეგრირებული გაკვეთილების ნიმუშები
- შეფასების რუბრიკები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი
- ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- პედაგოგებთან გახორციელებული ინტერვიუ.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, მიმართულებები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსურ დავალებებსა და მათს რეფლექსიებში, რაც, განხორციელდება, როგორც მოსწავლეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებით, ასევე ამ პროცესში მშობლისა და სკოლის ამდმინისტრაციის ჩართვითაც, რის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. გამომდინარე იქედან, რომ ზოგიერთ საგანში, მაგალითად სახელმწიფო ენაში კათედრას ძირითადად ერთი თემის ფარგლებში შევსებული კურიკულუმის ჩარჩოები აქვს წარმოდგენილი, რომლებშიც იკვეთება სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, თუ როგორ დაამუშაონ თითოეული თემა სამიზნე ცნებებთან და მის მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით, ისინი შუალედური მიზნების მისაღწევად კომპლექსურ დავალებებს ირჩევენ. გასაუბრებისას მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას , ახალი სასწავლო წლისთვის სრულად შეავსონ კურიკულუმის ჩარჩო, თითოეული თემის ფარგლებში დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება, რათა მოსწავლეებს შეექმნათ მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ხოლო საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრის კურიკულუმებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებებით არ ხდება და არც ყველა თემა არ იყო გაწერილი ჩარჩოში, თუმცა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენისას თემები გაწერეს, მაგრამ სამიზნე ცნებების დამუშავება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, მისი მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებით, ქვეცნებების ქვესაკითხებთან შესაბამისობით მაინც ვერ გამოიკვეთა. **სასწავლო პროცესის წარმართვა სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისაკენ რომ მოხდეს, საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურ**

დავალებებში აუცილებლად უნდა ჩაშენდეს შეფასების კრიტერიუმებად სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისი კრიტერიუმები, მისი დამუშავება კი უნდა მოხდეს ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ, რომელიც უნდა აისახოს მატრიცაში.
დაწესებულებამ შეადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.1. ინდიკატორთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო საზოგადოებრივ მეცნიერებათა კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურ დავალებებში, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისი კრიტერიუმების ჩაშენება შეფასების კრიტერიუმებად და ასახვა მარტიცაში. (29.08.2023-05.10.2023). შესაბამისად, ინდიკატორი, 2.2.2.1. ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, საგნობრივი კურიკულუმის წერისას გაითვალისწინონ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო - სოციალური განვითარება, საკითხებს თემის შიგნით მოსწავლეთა ინტერესებისა და მათი პიროვნული განვითარების მიზნით წარმართავენ. სამომავლოდ იგეგმება, კურიკულუმებში გაწერონ თემის შესწავლისას რომელი მაკროცნებები დამუშავდება.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. შეფასების სისტემა ორიენტრიებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები ჰოლისტური განვითარების წინაპირობაა. წარმოდგენილია უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალების შეფასება სოლოტაქსონომიის მიხედვით. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას(V-VIკლასები), მასწავლებლები ცდილობენ, ისე შექმნან რუბრიკები, რომ ყოველ თემაში შესაძლებელი გახდეს მოსწავლის უკვე მიღწეული ცოდნისა და ფუნქციური უნარების ზუსტი შეფასება. გასაუბრებისას მასწავლებლები აცხადებენ: „მომდევნოს წლისთვის დავამატებთ ფუნქციური უნარების შეფასების კვლევას, რაც მოსწავლის განვითარების ჰოლისტიკურ სურათს მოგვაწოდებს. მომდევნო წლისთვის ვგეგმავთ სასწავლო წლისთვის ყველა თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გაწერას და კომპლექსური დავალებებისთვის განმავითარებელი შეფასების მომზადებას.”
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. შეფასების სიტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

დაწყებით საფეხურზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. შეფასების რუბრიკები, როგორც სისტემა შეესაბამება ესგ-ს შედეგებს. არის ვალიდური,

გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; რადგანაც მას იცნობენ მშობლები, მოსწავლეები, საგნის მასწავლებლები და ადმინისტრაცია. მოსწავლეები მონაწილეობენ შეფასების რუბრიკების შექმნაში. მომდევნო წლისთვის კათედრის შეხვედრებისას მასწავლებლები გააკეთებენ თვითრეფლექსიებს, თუ როგორ შექმნეს კონკრეტული დავალებისთვის შეფასების რუბრიკები.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

პროცესისთვის საკვანძო ელემენტია განმავითარებელი შეფასება, რომელიც გადაჯაჭვულია კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესთან, რომელიც დასახვეწია, თუმცა ამ პროცესში პედაგოგები ინტენსიურად თანამშრომლობენ მოსწავლეებთან. შედეგად პედაგოგს ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი და კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ პროცესის სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ადასტურებს ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობას.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, სკოლის არქივი ინახავს ყველა მონაცემს. მასალები სკოლას აქვს დაარქივებული ჟურნალების სახით. ასევე დაარქივებულია ელ. ჟურნალების სახით. აქედან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
დასტურდება:

- კურიკულუმის ჩარჩოები კლასების მიხედვით;
- შეფასების რუბრიკა-განმავითარებელი, განმსაზღვრელი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგები IV კლასში, მოხსენებითი ბარათი-დანართი 32
- მასწავლებლის პორტფოლიო-დანართი 49
- მოსწავლის პორტფოლიო-დანართი 50

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლის სასწავლო გეგმაშია აღნიშნული, მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, ასევე როგორც სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშია აღნიშნული, სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახუალია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები, აქედან გამომდინარე ვფიქრობ რომ მომავალ წელს სასწავლო პროცესში შექმნილი იქნება მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები, ასევე მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტრიებულად.

სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. საგანში მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროები და ინტერესები. ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მათს ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს. სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებისათვის, ხელი ეწყობა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, მიეწოდება ახალი ცოდნა, ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება, რეალიზდება ცოდნის სამივე კატეგორია. სკოლა არაფორმარული განათლების მიართულებით ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებას, როდესაც უვითარებს 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებს. ტექნოლოგიის პედაგოგები ფიქრობენ, რომ საგანში სწავლა–სწავლების მიდგომები კიდევ უფრო მორგებული, საინტერესო, სახალისო გახდეს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესი ეფუზნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; ამ კუთხით კათედრები მუშაობენ და პედსაბჭოს წარუდგენენ მუშაობის ამსახველ ოქმებს. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები, მშობლების მიერ განხილული კომპლექსური დავალების ბარათები და მათი რეკომენდაციები ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. სკოლა მომავლისთვის გეგმავს, შექმნას საგნობრივი ფოკუს -ჯგუფები , კითხვარები, რომლებიც თანამშრომლობით კულტურას შეაფასებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რას სასკოლო საზოგადოების მუშაობის ერთიანი ხედვისა და კომუნიკაციის შედეგია. სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს სკოლაში მეტწილად უზრუნველყოფილი იქნება პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ქართული ენის მასწავლებლები ზრუნავენ შექმნან ისეთი გარემო, სადაც ხელი შეეწყობა თითოეული პედაგოგის წინსვლასა და წარმატებას, ამისათვის სკოლაში განხორციელდა მასწავლებლებს შორის ურთიერთდასწრების გაკვეთილი სადაც გაიცა კონსტრუქტივისტული უკუკავშირი
პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესახებ აღინიშნა გასაუბრების დროს, პედაგოგები სიტყვაში ერთმანეთის მიღწევებზე საუბრობენ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მომავალი სასწავლო წლისთვის იგეგმება. ამ ეტაპზე სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია რომელშიც ცალკეული ინსტრუმენტების შეფასების რუბრიკების მიხედვით აქცენტები კეთდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე, მაგრამ იმისათვის, რომ სრულად გაიზომოს/განისაზღვროს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა შედეგებზე გადიან მოსწავლეები, აუცილებლია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ინსტრუმენტზე დაყრდნობით შექმნილი კურიკულუმის საფუძველზე სასწავლო პროცესის დიაგნოსტირება. ინტერვიუდან გამოიკვეთა,რომ მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის მეთოდოლოგიაში სკოლა შემუშავებს და შეიტანს მონიტორინგისა და შეფასების მოქნილ მექანიზმებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და მათი გამოსწორების ხელშესაწყობად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გასაძლიერებლად. აქედან გამომდინარე, შემიძლია დავსკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას და საშუალებას.

სკოლა ახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, რომელსაც მიიჩნევს პრობლემის გადაჭრის გზად. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება:

- კურიკულუმის ჩარჩოები კლასების მიხედვით;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- კათედრის ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მარავლფეროვან წყაროებს

სკოლა შეფასებისას იყენებს საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, ის გეგმავს და ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები.

ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

კათედრაზე შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, თუმცა იგი არ აძლევს შესაძლებლობას მასწავლებლებს სრულად გაითვალისწინოს და გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას, დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. შეფასების მრავალი კონტექსტის გათვალისწინების თაობაზე გაწერილია სკოლის თვითშეფასების დოკუმენტშიც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. სკოლას აქვს ჩარჩო, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, რომ პედაგოგიური კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. სკოლისთვის გამოწვევაა გამოვლინდეს სხვადასხვა ჭრილში მოსწავლის ინტელექტი, მეტად ჩაუღრმავდეს თითოეული მოსწავლის

შესაძლებლობას და გათვალისწინებული იქნეს შეფასების პროცესში,ამიტომ, ცდილობენ გააუმჯობესონ ისეთი სტრატეგიების დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები
- კვლევის ანკეტები
- სადიაგნოსტიკო წერის მასალები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

1კათედრაზე იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რამეთუ მიმდინარე კურიკულუმით მუშაობამ გამოკვეთა, რა იყო მასწავლებლების მუშაობისას მათი წარმატებებისა და წინააღმდეგობების წარმოქმნის მიზეზები. კურიკულკუმის განვითარების და მხარდაჭერის პაკეტი იქნება იმ შეთავაზებებითა და რეკომენდაციებით, რაც გასათვალისწინებელი იქნება მომდევნო სასწავლო წელს. კერძოდ: სხვადასხვა რესურსები, აქტივობები თუ მეთოდები. მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება, მასწავლებლებმა SWOT ანალიზით შეაჯამონ თავიანთი მუშაობა და შეიმუშაონ სარეკომენდაციო პაკეტი, შეძლონ კურიკულუმის გადამუშავება.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2.**კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში, რომლის შექმნაზეც სკოლა ახლა მუშაობს, ნათლად გაწეროს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედება, რაც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

-

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები

- კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს, მათ შესაძლებლობებს. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მშობელთა სურვილები და ადმინისტრაციის ინტერესები. კურიკულუმების საბოლოო ვერსიის შემუშავებამდე მშობელთა კრებებზე და მასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებზე ხორციელდება განხილვები და შემდეგ კათედრაზე სამუშაო შეხვედრის ფორმატში განიხილება. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ჩანს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპი, კერძოდ სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განსაზღვრა კურიკულუმის შემუშავებაში. ამასვე ადასტურებს კათედრის სხდომის ოქმი და სკოლის სამოქმედო გეგმაც. კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და რომ მისი კონცეპტუალური ჩარჩო სწორედ მასწავლებლის, მშობლების, დირექციის და სასკოლო თემის სხვა წარმომადგენლების გამოცდილებების თავმოყრისა და გაანალიზების შედეგად იქმნება. როგორც გასაუბრების დროს გამოიკვეთა, სკოლა ჩაატარებს მოსწავლეთა დიაგნოსტიკურ შეფასებას სხვადასხვა საგანში, რომლის გამოცდილებაც აქვს სკოლას, მიღებული შედეგების საფუძველზე შევა ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის მისია და ხედვა, აგრეთვე სტრატეგიული განვითარების გეგმა,სადაც სკოლის პრიორიტეტებია აღწერილი. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში, მიუხედავად ხარვეზისა, ჩანს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საკითხების თემატურად დაყოფა, თემების შესწავლის დაგეგმვა მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. სკოლა მისია-ხედვა- ღირებულებებზე და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით, ცდილობს გამოკვეთოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და დაუკავშიროს ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმებს. დაწყებითი საფეხურზე მასწავლებლები სისტემატურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც მოსწავლეებს ეხმარება დაინახონ თავიანთი საჭიროებები, მასწავლებლები მუდმივი დაკვირვებების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გეგმავენ სასწავლო პროცესს. საბაზო საფეხურის საგნების მასწავლებლებმა 2023-2024 წლის კურიკულუმში გაითვალისწინეს წინა წლის გამოცდილება, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მათი შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. აღნიშნული დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, იქნება ეს სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები და სხვა. გარდა aმისა, იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. მართალია სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში არ ჩანს კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, თუმცა მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, მკაფიოდ ჩანს კათედრის საგნის მასწავლებელთა ჩართულობა იქნება ეს ტიპური სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები, კომპლექსური დავალებების აგებისა და ეფექტურად განხორციელების საშუალებები და სხვა. გარდა იმისა, სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის პროექტის მიმდინარე ვერსია არის გაზიარებული და შეთანხმებული, როგორც მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, ყველა მასწავლებელმა იმუშავა სასკოლო კურიკულუმის შექმნაზე, თუმცა მშობელთა ჩართულობა მხოლოდ კომპლექსური დავალების ბარათებით შემოიფარგლებოდა. ახალი სასწავლო წლისათვის კი იგეგმება უფრო აქტიური ჩართვა, კერძოდ სხვადასხვა კითხვარების საშუალებით მშობლებს გააცნობენ მთლიან კურიკულუმს და გაითვალისწინებენ მათ უკუკავშირს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შემუშავებული კურიკულუმის გაცნობა ხდება მშობელთა კრებებზე და მასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებზე, ხორციელდება განხილვები და შემდეგ კათედრაზე სამუშაო შეხვედრის ფორმატში განიხილება და გადაიხედება კურიკულუმში არსებული კომპლექსური დავალებები, ხდება მოდიფიცირება საჭიროებების მიხედვით. კურიკულუმის გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოებაში ძირითადად მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც აისახება მიმღებლობითი გარემო. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. იგეგმება, რომ მშობლებს გაუზიარონ ელექტრონული ფორმით და ასევე მიაწოდონ კითხვარი, რომლის საშუალებითაც მათ აზრს გაიგებენ, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდმის ოქმი
- კურიკულუმის ჩარჩო
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, კურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალებები, რაც თავისთავად უბიძგებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კომპლექსური დავალებებით მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. კურიკულუმების ჩარჩოებში არ არის შევსებული ყველა ველი, ამ ეტაპზეც მიმდინარეობს მუშაობა კურიკულუმის სრულყოფაზე. მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. გარდა ამისა, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა გამოხატეს იმის მზაობაც, თუ როგორი აქტივობებით შეიძლება კომპლექსური დავალებების დამუშავება (მაგ. ასაკობრივი ზღვარის შესაბამისი სახალისო დისკუსიები, თამაშის ელემენტები და სხვ.), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს უწყვეტ ნაკადად წაიყვანს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ყველა კომპლექსური დავალება მიემართება სამიზნე ცნებებისა და მისაღწევიშედეგებისაკენ, საგნობრივი ექსპერტები თვლიან, რომ შემუშავებული კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, მასწავლებლის თვითრეფლექსია და ურთიერთშეფასების რეფლექსია საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემა, სამიზნე ცნება, სასწავლო რესურსები. ფლობენ განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს. თუმცა, **სახელმწიფო ენის** კურიკულუმები ვერ ფარავს ყველა მკვიდრ წარმოდგენას, ასევე ვერ ხერხდება 6 ფუნქციური უნარის სრულად დაფარვა საფეხურის ფარგლებში. მაკრო ცნებები არაა გამოყოფილი ყველა კომპლექსური დავალებებისთვის. **საზოგადოებრივი** მეცნიერებათ აკურიკულუმებში კი ხდება თემაში სამიზნე ცნებების დამუშავება არასათანადოდ, საგნებში ყველა თემაში არ არის გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნების დამუშავება კომპლექსური დავალებებით, რომლის დაახვეწად ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს. არ იკვეთება თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგები, რადგან სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები არ მუშავდება სათანადო დონეზე, რადგან კომპლექსურ დავალებებში შეფასების კრიტერიუმები სამიზნე ცნების მკვიდრ

წარმოდგენებზე არაა მორგებული. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, მომდევნო წლის კურიკულუმში კომპლექსური ბუნების დავალებების დაწერისას გაითვალისწინონ და თემები დააკავშირონ ფუნქციურ უნარებთან და მაკროცნებებთან . **მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაში რა სამიზნე ცნებებიც არის წარმოდგენილი, იმ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენები დაამუშაონ შეფასების კრიტერიუმებად.**

საბაზო საფეხურზე მასწავლელებს აქვთ მზაობა ერთობლივი მუშაობით შეჯერდნენ კომპლექსური დავალების პირობებზე და გამოიყენონ კონტექსტ მაგალითები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის. სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე. მასწვალებელი მუშაობს მოსწავლეებთან, რომელთაც აქვთ სხვადასხვა უნარები, ცოდნა და შესაძლებლობები. ასევე აქვთ გამოცდილება ინდივიდიალური სასწავლო გეგმის შექმნისა. საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მაგალითად, რესურსის, პრეზენტაციის წარდგენის არჩევითობა, გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შეთავაზებებს, კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში და ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კონფერენცია, პრეზენტაცია. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად);თუმცა, **საზოგადოებრივ მეცნიერებათა** კურიკულუმებში არ ხდება თემაში სამიზნე ცნებების დამუშავება სათანადოდ, საგნებში ყველა თემაში არ არის გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნების დამუშავება კომპლექსური დავალებებით, რომლის დასახვეწად ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს. არ იკვეთება თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგები, რადგან სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები არ მუშავდება სათანადო დონეზე, რადგან კომპლექსურ დავალებებში შეფასების კრიტერიუმები სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე არაა მორგებული. ფუნქციური უნარების და მაკრო ცნებებისაკენ მიმავალი გზა მასწავლებლებმა გამოკვეთეს არაფორმალურ განათლებაში, კერძოდ საბაზო საფეხურის მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით სასკოლო პროექტებში, როგორც უკვე განხორციელებულში, ასევე ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებულ პროექტშიც

აქტიურ ჩართვას გეგმავენ. კათედრას ექსპერტის მიერ მიეცა **რჩევა შეფასების კრიტერიუმებად უშუალოდ იმ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენები დამუშავდეს რომელიც კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაშია მოეცმული.**
მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა, ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. წინა წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ანგარიშის საფუძველზე ხდება ძლიერი მხარეების, გასაუმჯობესებელი მხარეებისა და დაძლევის სტრატეგიების განსაზღვრა. ეს გამოიხატა როგორც მთლიანად კურიკულუმის შემუშავებაში, ასევე საკითხების შერჩევაში, კომპლექსური დავალებების შერჩევაში, შემოქმედებითი პროდუქტის შერჩევაში, აქტივობების შერჩევაში. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის აგებისას, მათი წინანარე ცოდნის შესწავლის მიზნით, ხშირად მიმართავენ სხვადასხვა კვლევას, მოსწავლეთა შედეგების, მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევას, მშობელთა ჩართულობისა თუ მშობელთა კმაყოფილების კვლევას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სსსმ მოსწავლეთა მშობლების კმაყოფილების კვლევას, აგრეთვე იყენებენ მოსწავლეთა თვითრეფლექსიის მასალებს, სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, კოლეგების ურთიერთდასწრება, განხორციელებული სასწავლო პროექტები.
კათედრების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, დირექტორის მოადგილეები აკეთებენ კვლევების სტატისტიკას, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განიხილავენ და აანალიზებენ, გეგმავენ გასაუმჯობესებელი მხარეების გაუმჯობესების გზებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის სხდომის ოქმი
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- სადამრიგებლო პროგრამა
- მშობელთა კრების ოქმი

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება
2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კომპლექსური დავალებები თავისთავად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ წინარე გამოცდილება ეხმარებათ მათ, მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები პროცესში, ამასვე გაითვალისწინებენ აქტივობებში. კათედრა მთავარ როლში აყენებს მოსწავლეებს, მის საჭიროებებსა და ინტერესებს, შესაძლებლობას აძლევს ჩართული იყოს სკოლაში მიმდინარე ნებისმიერ შემოქმედებით პროცესში. კათედრის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა იდეები, სასკოლო პროექტები, ღონისძიებები. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლბელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. სკოლას აქვს პროექტებით სწავლების დიდი გამოცდილება, სისტემატიურად მონაწილეობენ აჭარის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ტიპის ოლიმპიადებში, ეროვნულ

სასწავლო ოლიმპიადაში, ლიტერატურულ მარათონში, სხვადასხვა საგნობრივ კონფერენციებში რას მათ ეხმარებათ მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში მონაწილეობა დაადასტურონ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში პროცესი მიმართულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე და შერჩეულია სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსრტუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. თუმცა, საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში ნაწილობრივ იკვეთება ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით საკითხების შერჩევით, თუმცა გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ დეტალურად გაიწერება კომპლექსური დავალების აქტივობებში. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თემატური დაგეგმვისას აქცენტს აკეთებენ ისეთი კომპლექსური დავალებების შერჩევაზე, სადაც კონტექსტი მოსწავლისთვის არის ნაცნობი, მოსწავლეს უადვილდება მისთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა. შეუძლიათ შექმნან და წარმოადგინონ მსგავსი საინტერესო პროდუქტი, რითაც დასტურდება, რომ **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესის წარმართვა სწავლის სწავლაზე, კომპლექსური დავალების საკვანძო კითხვები, თითოეული კრიტერიუმის დამუშავების ეტაპები იძლევა საშუალებას, შეასაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება ამის გარანტიაა. ასევე პროექტებით სწავლება. ეს პროცესი უწყვეტია კომპლექსური დავალების შესრულების დროს, დაწყებული შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის შესწავლიდან დასრულებული პრეზენტაციის ბოლოს დასმული შეკითხვებით. განსაკუთრებით კი სწავლის სწავლა აქტიურდება რესურსების დამუშავების დროს, შესაბამისი რესურსები უკვე შერჩეული აქვთ მასწავლებლებს. სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, გაიგოს მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და განსაზღვროს თუ რისი გაუმჯობესაბა შეუძლია. აღნიშნულ პროცესში მნიშნელოვან როლს ასრულებენ მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარებიან გაუმჯობესების გზების ძიებაში.
გარდა ამისა, სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შეაბამისი ინვენტარით. სამივე მათგანს აქვს ცალკე საპრეპატაროტო ოთახი, სადაც საგნისათვის შესაბამისი ქიმიური რეაქტივებს, მულაჟები, ხელსაწყოები თუ სხვა საჭირო რეგენტეები ინახება სათანადო წესით. ქიმიის ლაბორატორიაში გამოკრულია ლაბორატოირაში ქცევის წესები. ეს გარემოებები კათედრის წევრ მასწავლებლებს საშულებას აძლევს შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას. თუმცა, აღსანიშნავა, რომ კორპუსში ეტლით მოსარგებლე მოზარდისათვის ხელმისაწვდომი არ იქნება ლაბორატორიები, რადგან განთავსებულია მაღალ სართულებზე და ლიფტი არ არის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ვინაიდან, ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, ახალი სასწავლო წლისათვის იგეგმება ლაბორატორიების გადატანა მეორე სასწავლო კორპუსში, სადაც ლიფტია დამონტაჟებული და შესაბამისად, ხელმისაწვდომი იქნება ყველა შესაძლებლობის მქონე მოსწავლისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა.

ამასთან ერთად, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. -სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, სხვადასხვა საგნობრივ სასკოლო კონფერენციებში, ლიტერატურულ მარათონში, ოლიმპიადებში თუ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა, მოსწავლეებს ავალდებულებს რაც სხვადასხვა პროდუქტის შექმნას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული ცოდნის მიცემას, კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდიქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.თუმცა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება ნაკლებად ჩანს საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში.მაგალითად, მოქალაქეობასა და გეოგრაფიაში კლასტერები არაა ამის ხელისშემწყობი, რადგან წვრილ საკითხებადაა ჩაშლილი. ისტორიის კურიკულუმის ჩარჩოში კი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების ხელისშემშლელ ფაქტორად იკვეთება მაგალითები შედარებისათვის, სადაც მოსწავლისათვის უცნობი საკითხებია წარმოდგენილი. (მაგ. მეშვიდე კლასში ბერძნულ კოლონიზაციაზე შესადარებლად ხალხთა დიდი გადასახლებაა, რაც მოსწავლისათვის უცნობია, მერვე კლასში დავით აღმაშენებელზე - გიორგი ბრწყინვალე). ვერც გასაუბრების დროს ახსნეს მასწავლებლებმა თუ როგორ მოახდენდნენ ასეთი მაგალითებით მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. **იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე, საგნობრივი კურიკულუმი უნდა აიგოს შემდეგი პრინციპით: საკითხთა კლასტერში გაერთიანდეს რამდენიმე საკითხი ისე, რომ შესწავლის პროცესში მოსწავლემ შეძლოს ერთმანეთთან დაკავშირება, ანუ საკითხები ერთმანეთთან ახლოს მდგომი უნდა იყოს. მაგალითები შედარებისათვის კი უნდა შეირჩეს ისეთი საკითხები, რომელიც მოსწავლისათვის აუცილებლად ნაცნობია, შესწავლილი აქვს უკვე, ან ძირითად საკითხთან ერთად უნდა შეისწავლოს.** მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა.

დაწესებულებამ შეადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.5. ინდიკატორთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო საზოგადოებრიც მეცნიერებათა

საგნობრივ კურიკულუმებში საკითხთა კლასტერებში საკითხების ისე გაერთიანება, რომ მოსწავლემ შეძლოს მათი ერთმანეთთან დაკავშირება. (29.08.2023-05.10.2023). შესაბამისად, ინდიკატორი 2.2.1.5. ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი".

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების ბარათები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის სხდომის ოქმი
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.
- სადამრიგებლო საათის დღიური
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს,

რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.

ხოლო საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრის კურიკულუმებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებებით არ ხდება და არც ყველა თემა არ იყო გაწერილი ჩარჩოში, თუმცა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენისას თემები გაწერეს, მაგრამ სამიზნე ცნებების დამუშავება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, მისი მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებით, ქვეცნებების ქვესაკითხებთან შესაბამისობით მაინც ვერ გამოიკვეთა. **სასწავლო პროცესის წარმართვა სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისაკენ რომ მოხდეს, საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურ დავალებებში აუცილებლად უნდა ჩაშენდეს შეფასების კრიტერიუმებად სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისი კრიტერიუმები, მისი დამუშავება კი უნდა მოხდეს ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ, რომელიც უნდა აისახოს მატრიცაში. დაწესებულებამ შეადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.1. ინდიკატორთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო საზოგადოებრივ მეცნიერებათა კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურ დავალებებში, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისი კრიტერიუმების ჩაშენება შეფასების კრიტერიუმებად და ასახვა მარტიცაში. (29.08.2023-05.10.2023). შესაბამისად, ინდიკატორი, 2.2.2.1. ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „შესაბამისი“.**

2. საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს, რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. იგივეს ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი. კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეები მაგ: სასკოლო ფესტივალი, პრეზენტაცია, მოიაზრებს იმდაგვარი ტიპის სამუშაო პროცესს, რაც ხელს უწყობს ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ პარალელურ კლასელებთან.

ფსიქო-ემოციური განვითარება მოიცავს თვითმართვის უნარს, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. მაგალითად, სპორტის საგანი სწორედ აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. საკუთარი სამუშაო პროცესის და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავთიარბელელი შეფასებით მოსწავლეები იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, იაზრებს საკუთარ პასუხისმგებლობას დავალების საბოლოო პროდუქტზე, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას. გარდა ამისა, სასკოლო პროექტების აქტივობები გააზრებულადაა მიმართული მოსწავლეთა გლობალური 6 უნარის განვითარებისაკენ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. წარმოდგენილი კურიკულუმები სასწავლო პროცესზე ორიენტირებულია და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრაზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით. სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარების მრავალფეროვანი პრაქტიკა, მაგალითად, XII კლასის მოსწავლეებისათვის ყოველთვიურად ეწყობა ერთიანი ეროვნული გამოცდების იმიტირებული გამოცდები, სადაც მათ საშუალება აქვთ შეამოწმონ საკუთარი ცოდა. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ამ გამოცდებზე განსაკუთრებით მაღალი მოსწავლეთა ჩართულობა. გარდა ამისა, IV, VI, IX და XII კლასში ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირებები და დირექტორის მოადგილეების მიერ ხდება მოსწავლეთა შედეგების გაანალიზება. საუკეთესო შედეგების მქონე მასწავლებლის წახალისება, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება მასწავლებელთა მოტივაციაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დოკუმენტაცია ადასტურებს და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს სიღმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. ამას გარდა რუბრიკა ცხადყოფს, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაც მიზნობრივადაა განზრახული, რას შეფასების სისტემას კიდევ უფრო ვალიდურს, ობიექტურს, გამჭირვალეს, სანდოსა და ობიექტურს ხდის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. პროცესისთვის საკვანძო ელემენტია განმავითარებელი შეფასება, რომელიც გადაჯაჭვულია კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესთან, რომელიც დასახვეწია, თუმცა ამ პროცესში პედაგოგები ინტენსიურად თანამშრომლობენ მოსწავლეებთან. შედეგად პედაგოგს ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი და კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ პროცესის სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ადასტურებს ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობას.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. როგორც კათედრის წევრება აღნიშნეს, შეფასების დოკუმენტაცია გადაეცემა სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. პორტალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრება და ანალიზი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების ბარათები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სკოლის ონალინ ჟურნალები
- მოსწავლეთა პირადი საქმეები

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.
- სადამრიგებლო პროგრამა

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში ღია, მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს ქმნის პირველ რიგში სასკოლო სასწავლო გეგმა, მისი შემადგენელი ნაწილებით. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის საათობრივი ბადე ისეა შემუშავებული, რომ მორგებულია მოსწვალის

ინტერესებზე, მის განვითარებაზე და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. მასწავლებლები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე. სასწავლო პროცესს წარმართავენ ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებულად. სასკოლო ცხოვრების ნებისმიერი პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით და რეფლექსიით, რაც ქმნის სკოლაში ღია მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. საბაზო საფეხურზე დიფერენცირებული მიდგომები, მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს. სკოლას ყავს მუსიკალური ბენდი, მეორე კორპუსში მათთვის გამოყოფილია სივრცე სადაც ინახება ინახება აჭარის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადმოცემული მუსიკალური ინსტრუმენტები: გიტარები, დასარტყამი ინსტრუმენტი, მიკროფოენბი, ხმის გამაძლერებელები, კლავიშებიანი ინსტრუმენტი, რაც მოსწავლეებს საკუთარი მუსიკალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობას აძლევს.
გარდა ამისა, სკოლას ყავს საკუთარი თეატრალური დასი რომელიც საქალაქო სპექტაკლებს დგავს და არაერთი ფესტვალის გამარჯვებულია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ასევე, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. კერძოდ, მათ ისაუბრეს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეს აძლევს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვის საშუალებას, რისთვისაც საუკეთესო ინსტრუმენტია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. სკოლაში ხშირად სწავლა-სწავლების პროცესები ხორციელდება კომპლექსური ტიპის დავალებების აგებით, რომლებიც საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში ჯერ კიდევ დასახვეწია, თუმცა ჩანს, რომ მოსწავლე თვითონ არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი.
არაფორმალური განათლების კუთხით სკოლას ყავს ძალიან აქტიური თვითმმართელობა, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებების, სპორტული შეჯიბრებების ინტელექტუალური თაშების ორგანიზატორია. მეორე კორპუსში მათთვის გამოყოფილია ცალკე საკლასო ოთახი, რაც ადასტურებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს. სკოლას აქვს კარგად მოწყობილი სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და დასტურედება, რომ მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, რაც ხორციელდება სკოლაში. ასევე, წლის განმავლობაში გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ესწრებიან გაკვეთილებს, აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს თვითგანვითარებაში. აღსანიშნავია, რომ სკოლას დიდი გამოცდილება აქვს პროფესიული ორიენტაციის კუთხითაც, მათ ქონდათ მემორანდუმი გაფორმებული კერვის

კოლეჯთან „ბლექსი“, რომელთან თანამშრომლობის ფარგლებში შეძენილი იქნა საკერავი მანქანები, დასაუთოვებელი მაგიდა, გამოსაჭრელი მაგიდა, ნაჭღები და კერვისათვის აუცილებელლი სხსვა ნივთები. ამ პროგრამის დამთავრების შემდეგ, პროექტის ფარგლებში ეს ინვენტარი დარჩა სკოლას და ერთ-ერთი ჭრა-კერვის მოყვარული მასწავლებლის ინიციატივის გაიხსნა კლუბი, სადაც გაერთიანებული არიან მოსწავლეები და საკუთარი შეკერილი ჩანთებით, ტანსაცმელითა თუ სხვადასხვა ნივთებით აწყობენ გამოფენა-გაყიდვებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს მეწრამეობითი უნარ-ჩვევების განვითარებაში.
სკოლა ჩართული იყო ამრიკის საელჩოს მიერ გახორციელებულ პროექტში „რას მივირთმევთ“, სადაც მოსწავლეებმა საკუთარი ხელით მოზილეს, გამოაცხეს და დააგემოვნესუგლუტეინო ფქვილისაგან გამომცხვარი პურ- ფუნთუშეული. მსგავსი აქტივობები ადასტურებს მოსწავლეთა თანამშომობითი კულტურისა და კომუნიკაციის გაღვივებას, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა დონეზე. სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად აქტიური შეხვედრები ტარდება მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან სადაც ყურადღება მახვილდება უთიერთმხარდაჭერასა და პატივისცემაზე. პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანია როგორც ფიზიკური გარემოს მოწყობა ასევე არაფორმალური ააქტივობები, რომლის უზრუნველსაყოფად, სკოლას დაქირავებული ყავს პეროსნა, რომელიც მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, აწყობს სხვადასხვა ტიპის ლაშქრობებს, ექსკურსიებსა და გასვლით ღონისძიებებს, რათა სკოლაში ჩამოყალიბდეს და შენარჩნუნდეს პოზიტიური კლიმატი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმები
- ინტერვიუ დირექციასთან
- ინტერვიუ პედაგოგებთან
- კვლევებისა და სტატისტიკის ფორმები
-

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, გამოკვეთს თუ რა მიზანს ემსახურება შეფასება, საჭირო მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებსა და გზებს, თუ როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. იმართება კათედრის შეხვედრა, სადაც ჯერ იგეგმება სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული საკითხები, შემდეგ კი კეთდება მონიტორინგი კათედრის წევრების დაკვირვების შედეგების საფუძველზე, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები თავდაპირველი გეგმის შესაბამისად. კათედრაზევე ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა შედეგების შეფასების ანალიზი და მომავალი საქმიანობა იგეგმება შედეგების გაუმჯობესებისკენ. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის მიერ შექმნილ პროდუქტს კურიკულუმში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. თუმცა სკოლა გეგმავს შეიმუშაოს მონიტორინგის ფორმები დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში და მეთოდოლოგიაში გაწერილი კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებიდან გამომდინარე, კათედრის თითოეული წევრი კათედრის თავმჯდომარეს აბარებს შუალედური თუ საბოლოო შეფასების შედეგების ანალიზს, შესაბამისად კათედრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სკოლის ადმინისტრაციასთან და აქტიურად მუშაობს ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა, თუ რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, სრულდება თუ არა დაგეგმილი პროცესები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მივყავართ თუ არა სასწავლო პროცესს საგანმანათლებლო შედეგამდე. ამდენად სკოლა გამოხატავს მზაობას, იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგი და შეფასება მომავალში უფრო ეფექტურად გამოხატავს და ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ასევე, მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება ხდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარადჭერის ჯგუფის წევრების მიერ. დირექტორის მოადგილეები, ამ ანგარიშების საფუძველზე აკეთებს სტატისტიკას, აანალიზებენ გასაუმჯობელებელ მხარეებს და გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. მეთოდოლოგიაში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ჩანს, რომ მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის პროცესში ახდენენ ძლიერი და სუსტი მხარეების, ხელისშემშლელი ფაქტორებისა და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირებას კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის და შემდეგ ცვლილებებს ასახავენ სასკოლო სასწავლო გეგმაში. აქედან გამომდინარე მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას. მონიტორინგის და შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია აისახება სამოქმედო გეგმაში, სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული პირების მიერ დაისახება პრობლემის მოგვარების გზები. მომდევმო წლიდან იგეგმება ურთიერთდასწრებები, მიღებული ინფორმაციის გაანალიზება პროფესიულ განვითარებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმები
- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებელბთან ჩატარებული ინტერვიუირებით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, არა მარტო პროცენტულად რამდენი მოსწავლე რა შედეგზე გავიდა განმსაზღვრელი შეფასების მხრივ, არამედ გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს

თავი მოსწავლეებმა და რომელი საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ. შესაბამისად, ამ კომპონენტში კათედრა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის კათედრა თვლის, რომ .მოსწავლეთა შეფასება განხორციელდეს მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებს. მაგ, ყურადღება ექცევა რამდენად აქვს გადმოცემის უნარი, შესაძლებელია მოსწავლეს ზეპირსიტყვიერი გადმოცემის უნარი ნაკლებად ჰქონდეს და ამის გამო სრულყოფილად ვერ გადმოსცემდეს მის მიერ მიღებულ ცოდნას. გაითვალისწინება რამდენად სრულყოფილად აქვს გაგებული კონკრეტული თემა, აღნიშნულს მასწავლებელი ახორციელებს სხვადასხვა კითხვის დასმით, რომლითაც ადგენს რომ მოსწავლეს ამომწურავად აქვს გაგებული საკითხი. გაითვალისწინება თუ რამდენად დამოუკიდებლი მუშაობის შედეგად აქვს შესრულებული დავალება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. გასაუბრებისა გამოიკვეთა, რომ სკოლა მონაცემთა შეგროვების პროცესს ანხორციელებს სკოლის მიზნისა და საჭიროების იდენტიფიცირებით. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: დაკვირვება, შეფასების რუბრიკები, ინტერვიუ, შევსებული თვითშეფასების კითხვარები,მშობელთა გამოკითხვის ფორმები, სხვადასხვა ტიპის კვლევების ანკეტები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. მონაცემთა შეგროვების მიზანს ემსახურება შემაჯამებელი თუ დიაგნოსტიკური წერები, ხოლო მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია შესაბამისი შეფასების რუბრიკები. კომპლექსური დავალება, რომელიც მოსწავლეს აძლევს თვითშეფასების შესაძლებლობას განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებულია ერთ-ერთ მეთოდად ხოლო ზემოდ აღნიშნული მეთოდები გამოიყენება დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, რომლისათვისაც კათედრა იყენებს მულტიფაქტორულ მიდგომას. გასათვალისწინებელია ინდივიდზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები: მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მშობლებისა და მასწავლებლების დამოკიდებულებები და სოციალური გარემო სადაც იგი იზრდება და ვითარდება. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტიდან გამომდინარე შეფასებისას მასწავლებლები უნდა ეყრდნობოდნენ მრავალ ფაქტორებს და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მოსწავლეთა შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორებს იყენებენ: ახდენენ მოსწავლეთა დიფერენცირებული პროფილის შექმნას; იკვლევენ მოსწავლეთა სხვადასხვა უნარებს; ეძიებენ უნარების განვითარებაზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება:

- კურიკულუმების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებლეთან ინტერვიუ

- დირექტორის მოადგილეების ანგარიში
- კათედრის სხდომის ოქმი
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; მასწავლებლები გასაუბრებისას გამოყოფენ მნიშვნელოვან ასპექტს იმასთან დაკავშირებით, რომ კათედრის წევრები ამზადებენ ე.წ. დოკუმენტების კრებულს სიტყვიერს თუ სარეკომენდაციოდ გაწერილი მასალების ნაერთს, რომლებიც შეიცავს: რა მიგნებები აქვთ სამუშაო გამოცდილებიდან კარგი, რას დასჭირდება გადამუშავება, რატომ არ გაამართლა ფურცელზე დაწერილმა, რამ გაამართლა და რატომ, როგორ გამოვკვეთე პრობლემა და როგორია გადაჭრის გზები და საშუალებები, ამ შედეგებს აჯერებენ და წარუდგენენ ადმინისტრაციას. ადმინისტრაცია აანალიზებს და

მასწავლებლებთან მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე გეგმავს აქტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე. კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა არის ციკლური პროცესი. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მუშაობა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. გადამუშავებული კურეკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც თავად მათ მიერ კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ გამოცდილებას, ისე სხვა მასწავლებელთა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. აღნიშნულის საფუძელზე შეიქმნება გადამუშოავებული კურიკულუმი, რომლებიც გამოიყენება მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს კათედრაზე განიხილავენ, აჯერებენ წინა წლების გამოცდილებას, აანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია ფურცელზე დაწერილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

5. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
6. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

7. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
8. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს, მათ შესაძლებლობებს. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მშობელთა სურვილები და ადმინისტრაციის ინტერესები. კურიკულუმების საბოლოო ვერსიის შემუშავებამდე მშობელთა კრებებზე და მასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებზე ხორციელდება განხილვები და შემდეგ კათედრაზე სამუშაო შეხვედრის ფორმატში განიხილება. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ჩანს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპი, კერძოდ სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განსაზღვრა კურიკულუმის შემუშავებაში. ამასვე ადასტურებს კათედრის სხდომის ოქმი და სკოლის სამოქმედო გეგმაც. კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და რომ მისი კონცეპტუალური ჩარჩო სწორედ მასწავლებლის, მშობლების, დირექციის და სასკოლო თემის სხვა წარმომადგენლების გამოცდილებების თავმოყრისა და გაანალიზების შედეგად იქმნება. როგორც გასაუბრების დროს გამოიკვეთა, სკოლა ჩაატარებს მოსწავლეთა დიაგნოსტიკურ შეფასებას სხვადასხვა საგანში, რომლის გამოცდილებაც აქვს სკოლას, მიღებული შედეგების საფუძველზე შევა ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის მისია და ხედვა, აგრეთვე სტრატეგიული განვითარების გეგმა,სადაც სკოლის პრიორიტეტებია აღწერილი. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში, მიუხედავად ხარვეზისა, ჩანს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საკითხების თემატურად დაყოფა, თემების შესწავლის დაგეგმვა მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. სკოლა მისია-ხედვა- ღირებულებებზე და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით, ცდილობს გამოკვეთოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და დაუკავშიროს ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმებს. დაწყებითი საფეხურზე მასწავლებლები სისტემატურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც მოსწავლეებს ეხმარება დაინახონ თავიანთი საჭიროებები, მასწავლებლები მუდმივი დაკვირვებების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გეგმავენ სასწავლო პროცესს. საბაზო საფეხურის საგნების მასწავლებლებმა 2023-2024 წლის კურიკულუმში გაითვალისწინეს წინა წლის გამოცდილება, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მათი შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. აღნიშნული დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, იქნება ეს სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები და სხვა. გარდა aმისა, იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. მართალია სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში არ ჩანს კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, თუმცა მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, მკაფიოდ ჩანს კათედრის საგნის მასწავლებელთა ჩართულობა იქნება ეს ტიპური სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები,

კომპლექსური დავალებების აგებისა და ეფექტურად განხორციელების საშუალებები და სხვა. გარდა იმისა, სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის პროექტის მიმდინარე ვერსია არის გაზიარებული და შეთანხმებული, როგორც მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, ყველა მასწავლებელმა იმუშავა სასკოლო კურიკულუმის შექმნაზე, თუმცა მშობელთა ჩართულობა მხოლოდ კომპლექსური დავალების ბარათებით შემოიფარგლებოდა. ახალი სასწავლო წლისათვის კი იგეგმება უფრო აქტიური ჩართვა, კერძოდ სხვადასხვა კითხვარების საშუალებით მშობლებს გააცნობენ მთლიან კურიკულუმს და გაითვალისწინებენ მათ უკუკავშირს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4 შემუშავებული კურიკულუმის გაცნობა ხდება მშობელთა კრებებზე და მასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებზე, ხორციელდება განხილვები და შემდეგ კათედრაზე სამუშაო შეხვედრის ფორმატში განიხილება და გადაიხედება კურიკულუმში არსებული კომპლექსური დავალებები, ხდება მოდიფიცირება საჭიროებების მიხედვით. კურიკულუმის გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოებაში ძირითადად მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც აისახება მიმღებლობითი გარემო. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. იგეგმება, რომ მშობლებს გაუზიარონ ელექტრონული ფორმით და ასევე მიაწოდონ კითხვარი, რომლის საშუალებითაც მათ აზრს გაიგებენ, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდმის ოქმი
- კურიკულუმის ჩარჩო
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, კურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალებები, რაც თავისთავად უბიძგებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კომპლექსური დავალებებით მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. კურიკულუმების ჩარჩოებში არ არის შევსებული ყველა ველი, ამ ეტაპზეც მიმდინარეობს მუშაობა კურიკულუმის სრულყოფაზე. მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. გარდა ამისა, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა გამოხატეს იმის მზაობაც, თუ როგორი აქტივობებით შეიძლება კომპლექსური დავალებების დამუშავება (მაგ. ასაკობრივი ზღვარის შესაბამისი სახალისო დისკუსიები, თამაშის ელემენტები და სხვ.), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს უწყვეტ ნაკადად წაიყვანს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ყველა კომპლექსური დავალება მიემართება სამიზნე ცნებებისა და მისაღწევი შედეგებისაკენ, საგნობრივი ექსპერტები თვლიან, რომ შემუშავებული კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, მასწავლებლის თვითრეფლექსია და ურთიერთშეფასების რეფლექსია საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემა, სამიზნე ცნება, სასწავლო რესურსები. ფლობენ განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს. თუმცა, **სახელმწიფო ენის** კურიკულუმები ვერ ფარავს ყველა მკვიდრ წარმოდგენას, ასევე ვერ ხერხდება 6 ფუნქციური უნარის სრულად დაფარვა საფეხურის ფარგლებში. მაკრო ცნებები არაა გამოყოფილი ყველა კომპლექსური დავალებებისთვის. **საზოგადოებრივი** მეცნიერებათ აკურიკულუმებში კი ხდება თემაში სამიზნე ცნებების დამუშავება არასათანადოდ, საგნებში ყველა თემაში არ არის გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნების დამუშავება კომპლექსური დავალებებით, რომლის დაახვეწად ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს. არ იკვეთება თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგები, რადგან სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები არ მუშავდება სათანადო დონეზე, რადგან კომპლექსურ დავალებებში შეფასების კრიტერიუმები სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე არაა მორგებული. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, მომდევნო წლის კურიკულუმში კომპლექსური ბუნების დავალებების დაწერისას გაითვალისწინონ და თემები დააკავშირონ ფუნქციურ უნარებთან და მაკროცნებებთან . **მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაში რა სამიზნე ცნებებიც არის წარმოდგენილი, იმ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენები დაამუშაონ შეფასების კრიტერიუმებად.**

საშუალო საფეხურზე მასწავლელებს აქვთ მზაობა ერთობლივი მუშაობით შეჯერდნენ კომპლექსური დავალების პირობებზე და გამოიყენონ კონტექსტ მაგალითები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწალო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის. სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე. მასწვალებელი მუშაობს მოსწავლეებთან, რომელთაც აქვთ სხვადასხვა უნარები, ცოდნა და შესაძლებლობები. ასევე აქვთ გამოცდილება ინდივიდიალური სასწავლო გეგმის შექმნისა. საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მაგალითად, რესურსის, პრეზენტაციის წარდგენის არჩევითობა, გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შეთავაზებებს, კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში და ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კონფერენცია, პრეზენტაცია. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. კათედრის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საშუალო საფეხურზეც დაგეგმილია ისეთი პროცესი, სადაც სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე გამოიკვეთა მზაობა განმსაზღვრელი შეფასების ეფექტური წარმოების შესახებ. კერძოდ, უცხო ენის კათედრის წევრებს შეუძლიათ, რომ თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ შეფასება და სწავლის პროცესი როგორც ერთი მთლიანი პროცესი და შეუძლიათ შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. თუმცა, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის შეფასების რუბრიკები ზოგადი ხასიათისაა. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფუნქციები გაწერილია მეთოდოლოგიაში, მაგრამ დასახვეწია კომპლექსურ დავალებასთან მორგებული შეფასების რუბრიკები, რაც მიმართული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნებისაკენ. კათედრას აქვს გამოცდილება განმავითარებელი შეფასების. ასევე აქვთ გამოცდილება კომპლექსურ დავალებასთან მიმართებაში, გამოიყენონ როგორც განმავითარებებლი ასევე განმსაზღვრელი შეფასება, თუმცა როგორც განხორციელებული, ასევე ახალი რუბრიკები ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბმისობაშია მოსაყვანი. მაგალითად, ისტორიისა და გეოგრაფიის კომპლექსურ დავალებებში შეფასების კრიტერიუმები არ შეესაბამება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს, ხოლო საგან მოქალაქეობაში

ნაწილობრივ, შესაბამისად არც განმავითარებელი და არც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არ წარმოაჩენს გრძელვადიან მიზანზე მიმართებას. **მასწავლებლებს მიეცათ რჩევა რომ გადახედონ შეფასების კრიტერიუმებს და ახალი სასწავლო წლისათვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შეიქმნას სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარე შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა შეიქმნას საგნობრივ სტანდარტში მოცემული თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების შეფასების ინდიკატორებიდან გამომდინარე საკითხთან დაზუსტების საფუძველზე. მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. წინა წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ანგარიშის საფუძველზე ხდება ძლიერი მხარეების, გასაუმჯობესებელი მხარეებისა და დაძლევის სტრატეგიების განსაზღვრა. ეს გამოიხატა როგორც მთლიანად კურიკულუმის შემუშავებაში, ასევე საკითხების შერჩევაში, კომპლექსური დავალებების შერჩევაში, შემოქმედებითი პროდუქტის შერჩევაში, აქტივობების შერჩევაში. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის აგებისას, მათი წინანარე ცოდნის შესწავლის მიზნით, ხშირად მიმართავენ სხვადასხვა კვლევას, მოსწავლეთა შედეგების, მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევას, მშობელთა ჩართულობისა თუ მშობელთა კმაყოფილების კვლევას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სსსმ მოსწავლეთა მშობლების კმაყოფილების კვლევას, აგრეთვე იყენებენ მოსწავლეთა თვითრეფლექსიის მასალებს, სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, კოლეგების ურთიერთდასწრება, განხორციელებული სასწავლო პროექტები.
კათედრების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, დირექტორის მოადგილეები აკეთებენ კვლევების სტატისტიკას, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განიხილავენ და აანალიზებენ, გეგმავენ გასაუმჯობესებელი მხარეების გაუმჯობესების გზებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის სხდომის ოქმი
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- სადამრიგებლო პროგრამა
- მშობელთა კრების ოქმი

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება
2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კომპლექსური დავალებები თავისთავად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ წინარე გამოცდილება ეხმარებათ მათ, მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები პროცესში, ამასვე გაითვალისწინებენ აქტივობებში. კათედრა მთავარ როლში აყენებს მოსწავლეებს, მის საჭიროებებსა და ინტერესებს, შესაძლებლობას აძლევს ჩართული იყოს სკოლაში მიმდინარე ნებისმიერ შემოქმედებით პროცესში. კათედრის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა იდეები, სასკოლო პროექტები, ღონისძიებები. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და

მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. სკოლას აქვს პროექტებით სწავლების დიდი გამოცდილება, სისტემატიურად მონაწილეობენ აჭარის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ტიპის ოლიმპიადებში, ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში, ლიტერატურულ მარათონში, სხვადასხვა საგნობრივ კონფერენციებში რას მათ ეხმარებათ მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში მონაწილეობა დაადასტურონ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში პროცესი მიმართულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე და შერჩეულია სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსრტუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. თუმცა, საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში ნაწილობრივ იკვეთება ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით საკითხების შერჩევით, თუმცა გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ დეტალურად გაიწერება კომპლექსური დავალების აქტივობებში. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თემატური დაგეგმვისას აქცენტს აკეთებენ ისეთი კომლექსური დავალებების შერჩევაზე, სადაც კონტექსტი მოსწავლისთვის არის ნაცნობი, მოსწავლეს უადვილდება მისთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა. შეუძლიათ შექმნან და წარმოადგინონ მსგავსი საინტერესო პროდუქტი. ეს გარემოებები გამოიხატა საზაგადოებრივი მეცნიერებების სამივე საგანში, რითაც დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესის წარმართვა სწავლის სწავლაზე, კომპლექსური დავალების საკვანძო კითხვები, თითოეული კრიტერიუმის დამუშავების ეტაპები იძლევა საშუალებას, შეასაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება ამის გარანტიაა. ასევე პროექტებით სწავლება. ეს პროცესი უწყვეტია კომპლექსური დავალების შესრულების დროს, დაწყებული შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის შესწავლიდან დასრულებული პრეზენტაციის ბოლოს დასმული შეკითხვებით. განსაკუთრებით კი სწავლის სწავლა აქტიურდება რესურსების დამუშავების დროს, შესაბამისი რესურსები უკვე შერჩეული აქვთ მასწავლებლებს. სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, გაიგოს მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და განსაზღვროს თუ რისი გაუმჯობესაბა შეუძლია. აღნიშნულ პროცესში მნიშნელოვან როლს ასრულებენ მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარებიან გაუმჯობესების გზების ძიებაში.
გარდა ამისა, სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შეაბამისი ინვენტარით. სამივე მათგანს აქვს ცალკე საპრეპატაროტო ოთახი, სადაც საგნისათვის შესაბამისი ქიმიური რეაქტივებს, მულაჟები, ხელსაწყოები თუ სხვა საჭირო რეგენტეები ინახება სათანადო წესით. ქიმიის ლაბორატორიაში გამოკრულია ლაბორატოირაში ქცევის წესები. ეს გარემოებები კათედრის წევრ მასწავლებლებს საშულებას აძლევს შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას. თუმცა, აღსანიშნავა, რომ კორპუსში ეტლით მოსარგებლე მოზარდისათვის ხელმისაწვდომი არ იქნება ლაბორატორიები, რადგან განთავსებულია მაღალ სართულებზე და ლიფტი არ არის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ვინაიდან, ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, ახალი სასწავლო წლისათვის იგეგმება ლაბორატორიების გადატანა მეორე სასწავლო კორპუსში, სადაც ლიფტია დამონტაჟებული და შესაბამისად, ხელმისაწვდომი იქნება ყველა შესაძლებლობის მქონე მოსწავლისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ამასთან ერთად, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. -სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, სხვადასხვა საგნობრივ სასკოლო კონფერენციებში, ლიტერატურულ მარათონში, ოლიმპიადებში თუ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა, მოსწავლეებს ავალდებულებს რაც სხვადასხვა პროდუქტის შექმნას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული ცოდნის მიცემას, კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდიქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.თუმცა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება ნაკლებად ჩანს საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში. ვერც გასაუბრების დროს ახსნეს მასწავლებლებმა თუ როგორ მოახდენდნენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებაასა და ურთიერთდაკავშირებას. **იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე, საგნობრივი კურიკულუმი უნდა აიგოს შემდეგი პრინციპით: საკითხთა კლასტერში გაერთიანდეს რამდენიმე საკითხი ისე, რომ შესწავლის პროცესში მოსწავლემ შეძლოს ერთმანეთთან დაკავშირება, ანუ საკითხები ერთმანეთთან ახლოს მდგომი უნდა იყოს. მაგალითები შედარებისათვის კი უნდა შეირჩეს ისეთი საკითხები, რომელიც მოსწავლისათვის აუცილებლად ნაცნობია, შესწავლილი აქვს უკვე, ან ძირითად საკითხთან ერთად უნდა შეისწავლოს. დაწესებულებამ შეადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.5. ინდიკატორთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო საზოგადოებრივ მეცნიერებათა**

საგნობრივ კურიკულუმებში საკითხთა კლასტერებში საკითხების ისე გაერთიანება, რომ მოსწავლემ შეძლოს მათი ერთმანეთთან დაკავშირება. (29.08.2023-05.10.2023). შესაბამისად, ინდიკატორი 2.2.1.5. ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი".

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების ბარათები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის სხდომის ოქმი
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.
- სადამრიგებლო საათის დღიური
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. 1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.

ხოლო საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრის კურიკულუმებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებებით არ ხდება და არც ყველა თემა არ იყო გაწერილი ჩარჩოში, თუმცა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენისას თემები გაწერეს, მაგრამ სამიზნე ცნებების დამუშავება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, მისი მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებით, ქვეცნებების ქვესაკითხებთან შესაბამისობით მაინც ვერ გამოიკვეთა. **სასწავლო პროცესის წარმართვა სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისაკენ რომ მოხდეს, საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურ დავალებებში აუცილებლად უნდა ჩაშენდეს შეფასების კრიტერიუმებად სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისი კრიტერიუმები, მისი დამუშავება კი უნდა მოხდეს ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ, რომელიც უნდა აისახოს მატრიცაში.**

დაწესებულებამ შეადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.1. ინდიკატორთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო საზოგადოებრივ მეცნიერებათა კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურ დავალებებში, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისი კრიტერიუმების ჩაშენება შეფასების კრიტერიუმებად და ასახვა მარტიცაში. (29.08.2023-05.10.2023). შესაბამისად, ინდიკატორი, 2.2.2.1. ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

2. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს, რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. იგივეს ადასტურებს მასწავლებლებთან განხორცილებული ინტერვიუების ანალიზი. კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეები მაგ: სასკოლო ფესტივალი, პრეზენტაცია, მოიაზრებს იმდაგვარი ტიპის სამუშაო პროცესს, რაც ხელს უწყობს ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ პარალელურ კლასელებთან.

ფსიქო-ემოციური განვითარება მოიცავს თვითმართვის უნარს, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. მაგალითად, სპორტის საგანი სწორედ აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. საკუთარი სამუშაო პროცესის და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავთიარბელელი შეფასებით მოსწავლეები იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, იაზრებს საკუთარ პასუხისმგებლობას დავალების საბოლოო პროდუქტზე, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას. გარდა ამისა, სასკოლო პროექტების აქტივობები

გააზრებულადაა მიმართული მოსწავლეთა გლობალური 6 უნარის განვითარებისაკენ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. წარმოდგენილი კურიკულუმები სასწავლო პროცესზე ორიენტირებულია და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრაზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით. სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარების მრავალფეროვანი პრაქტიკა, მაგალითად, XII კლასის მოსწავლეებისათვის ყოველთვიურად ეწყობა ერთიანი ეროვნული გამოცდების იმიტირებული გამოცდები, სადაც მათ საშუალება აქვთ შეამოწმონ საკუთარი ცოდა. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ამ გამოცდებზე განსაკუთრებით მაღალი მოსწავლეთა ჩართულობა. გარდა ამისა, IV, VI, IX და XII კლასში ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირებები და დირექტორის მოადგილეების მიერ ხდება მოსწავლეთა შედეგების გაანალიზება. საუკეთესო შედეგების მქონე მასწავლებლის წახალისება, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება მასწავლებელთა მოტივაციაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დოკუმენტაცია ადასტურებს და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. ამას გარდა რუბრიკა ცხადყოფს, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაც მიზნობრივადაა განზრახული, რას შეფასების სისტემას კიდევ უფრო ვალიდურს, ობიექტურს, გამჭირვალეს, სანდოსა და ობიექტურს ხდის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. პროცესისთვის საკვანძო ელემენტია განმავითარებელი შეფასება, რომელიც გადაჯაჭვულია კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესთან, რომელიც დასახვეწია, თუმცა ამ პროცესში პედაგოგები ინტენსიურად თანამშრომლობენ მოსწავლეებთან. შედეგად პედაგოგს ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი და კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ პროცესის სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ადასტურებს ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. როგორც კათედრის წევრება აღნიშნეს, შეფასების დოკუმენტაცია გადაეცემა სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. პორტალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრება და ანალიზი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების ბარათები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სკოლის ონალინ ჟურნალები
- მოსწავლეთა პირადი საქმეები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.
- სადამრიგებლო პროგრამა

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში ღია, მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს ქმნის პირველ რიგში სასკოლო სასწავლო გეგმა, მისი შემადგენელი ნაწილებით. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის საათობრივი ბადე ისეა შემუშავებული, რომ მორგებულია მოსწვალის ინტერსებზე, მის განვითარებაზე და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. მასწავლებლები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე. სასწავლო პროცესს წარმართავენ ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებულად.

სასკოლო ცხოვრების ნებისმიერი პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით და რეფლექსიით, რაც ქმნის სკოლაში ღია მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. საბაზო საფეხურზე დიფერენცირებული მიდგომები, მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს. სკოლას ყავს მუსიკალური ბენდი, მეორე კორპუსში მათთვის გამოყოფილია სივრცე სადაც ინახება ინახება აჭარის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადმოცემული მუსიკალური ინსტრუმენტები: გიტარები, დასარტყამი ინსტრუმენტი, მიკროფოენბი, ხმის გამაძლერებელები, კლავეიშებიანი ინსტრუმენტი, რაც მოსწავლეებს საკუთარი მუსიკალური შესაძლებლობების მაქსიმიმალურად გამოვლენის შესაძლებლობას აძლევს.
გარდა ამისა, სკოლას ყავს საკუთარი თეატრალური დასი რომელიც საქალაქო სპექტაკლებს დგავს და არაერთი ფესტვალის გამარჯვებულია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ასევე, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. კერძოდ, მათ ისაუბრეს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეს აძლევს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვის საშუალებას, რისთვისაც საუკეთესო ინსტრუმენტია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. სკოლაში ხშირად სწავლა-სწავლების პროცესები ხორციელდება კომპლექსური ტიპის დავალებების აგებით, რომლებიც საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში ჯერ კიდევ დასახვეწია, თუმცა ჩანს, რომ მოსწავლე თვითონ არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი.
არაფორმალური განათლების კუთხით სკოლას ყავს ძალიან აქტიური თვითმმართელობა, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებების, სპორტული შეჯიბრებების ინტელექტუალური თაშების ორგანიზატორია. მეორე კორპუსში მათთვის გამოყოფილია ცალკე საკლასო ოთახი, რაც ადასტურებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს. სკოლას აქვს კარგად მოწყობილი სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიყტერული ლაბორატორია და დასტურედება, რომ მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, რაც ხორციელდება სკოლაში. ასევე, წლის განმავლობაში გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ესწრებიან გაკვეთილებს, აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს თვითგანვითარებაში. აღსანიშნავია, რომ სკოლას დიდი გამოცდილება აქვს პროფესიული ორიენტაციის კუთხითაც, მათ ქონდათ მემორანდუმი გაფორმებული კერვის კოლეჯთან „ბლექსი“, რომელთან თანამშრომლობის ფარგლებში შეძენილი იქნა საკერავი მანქანები, დასაუთოვებელი მაგიდა, გამოსაჭრელი მაგიდა, ნაჭღები და კერვისათვის აუცილებელლი სხსვა ნივთები. ამ პროგრამის დამთავრების შემდეგ, პროექტის

ფარგლებში ეს ინვენტარი დარჩა სკოლას და ერთ-ერთი ჭრა-კერვის მოყვარული მასწავლებლის ინიციატივის გაიხსნა კლუბი, სადაც გაერთიანებული არიან მოსწავლეები და საკუთარი შეკერილი ჩანთებით, ტანსაცმელითა თუ სხვადასხვა ნივთებით აწყობენ გამოფენა-გაყიდვებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს მეწრამეობითი უნარ-ჩვევების განვითარებაში.
სკოლა ჩართული იყო ამრიკის საელჩოს მიერ გახორციელებულ პროექტში „რას მივირთმევთ", სადაც მოსწავლეებმა საკუთარი ხელით მოზილეს, გამოაცხეს და დააგემოვნესუგლუტეინო ფქვილისაგან გამომცხვარი პურ- ფუნთუშეული. მსგავსი აქტივობები ადასტურებს მოსწავლეთა თანამშომობითი კულტურისა და კომუნიკაციის გაღვივებას, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა დონეზე. სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად აქტიური შეხვედრები ტარდება მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან სადაც ყურადღება მახვილდება უთიერთმხარდაჭერასა და პატივისცემაზე. პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანია როგორც ფიზიკური გარემოს მოწყობა ასევე არაფორმალური ააქტივობები, რომლის უზრუნველსაყოფად, სკოლას დაქირავებული ყავს პეროსნა, რომელიც მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, აწყობს სხვადასხვა ტიპის ლაშქრობებს, ექსკურსიებსა და გასვლით ღონისძიებებს, რათა სკოლაში ჩამოყალიბდეს და შენარჩნუნდეს პოზიტიური კლიმატი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმები
- ინტერვიუ დირექციასთან
- ინტერვიუ პედაგოგებთან
- კვლევებისა და სტატისტიკის ფორმები

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, გამოკვეთს თუ რა მიზანს ემსახურება შეფასება, საჭირო მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებსა და გზებს, თუ როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. იმართება კათედრის შეხვედრა, სადაც ჯერ იგეგმება სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული საკითხები, შემდეგ კი კეთდება მონიტორინგი კათედრის წევრების დაკვირვების შედეგების საფუძველზე, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები თავდაპირველი გეგმის შესაბამისად. კათედრაზევე ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა შედეგების შეფასების ანალიზი და მომავალი საქმიანობა იგეგმება შედეგების გაუმჯობესებისკენ. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის მიერ შექმნილ პროდუქტს კურიკულუმში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. თუმცა სკოლა გეგმავს შეიმუშაოს მონიტორინგის ფორმები დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში და მეთოდოლოგიაში გაწერილი კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებიდან გამომდინარე, კათედრის თითოეული წევრი კათედრის თავჯდომარეს აბარებს შუალედური თუ საბოლოო შეფასების შედეგების ანალიზს, შესაბამისად კათედრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სკოლის ადმინისტრაციასთან და აქტიურად მუშაობს ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა, თუ რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, სრულდება თუ არა დაგეგმილი პროცესები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მივყავართ თუ არა სასწავლო პროცესს საგანმანათლებლო შედეგამდე. ამდენად სკოლა გამოხატავს მზაობას, იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგი და შეფასება მომავალში უფრო ეფექტურად გამოხატავს და ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ასევე, მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება ხდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარადჭერის ჯგუფის წევრების მიერ. დირექტორის მოადგილეები, ამ ანგარიშების საფუძველზე აკეთებს სტატისტიკას, აანალიზებენ გასაუმჯობელებელ მხარეებს და გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. მეთოდოლოგიაში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ჩანს, რომ მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის პროცესში ახდენენ ძლიერი და სუსტი მხარეების,

ხელისშემშლელი ფაქტორებისა და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირებას კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის და შემდეგ ცვლილებებს ასახავენ სასკოლო სასწავლო გეგმაში. აქედან გამომდინარე მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას. მონიტორინგის და შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია აისახება სამოქმედო გეგმაში, სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული პირების მიერ დაისახება პრობლემის მოგვარების გზები. მომდევმო წლიდან იგეგმება ურთიერთდასწრებები, მიღებული ინფორმაციის გაანალიზება პროფესიულ განვითარებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმები
- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებელბთან ჩატარებული ინტერვიუირებით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, არა მარტო პროცენტულად რამდენი მოსწავლე რა შედეგზე გავიდა განმსაზღვრელი შეფასების მხრივ, არამედ გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელი საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის კათედრა თვლის, რომ .მოსწავლეთა შეფასება განხორციელდეს მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებს. მაგ, ყურადღება ექცევა რამდენად აქვს გადმოცემის უნარი, შესაძლებელია მოსწავლეს ზეპირსიტყვიერი გადმოცემის უნარი ნაკლებად ჰქონდეს და ამის გამო სრულყოფილად ვერ გადმოსცემდეს მის მიერ მიღებულ ცოდნას. გაითვალისწინება რამდენად სრულყოფილად აქვს გაგებული კონკრეტული თემა, აღნიშნულს მასწავლებელი ახორციელებს სხვადასხვა კითხვის დასმით, რომლითაც ადგენს რომ მოსწავლეს ამომწურავად აქვს გაგებული საკითხი. გაითვალისწინება თუ რამდენად დამოუკიდებლი მუშაობის შედეგად აქვს შესრულებული დავალება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. გასაუბრებისა გამოიკვეთა, რომ სკოლა მონაცემთა შეგროვების პროცესს ანხორციელებს სკოლის მიზნისა და საჭიროების იდენტიფიცირებით. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: დაკვირვება, შეფასების რუბრიკები, ინტერვიუ, შევსებული თვითშეფასების კითხვარები, მშობელთა გამოკითხვის ფორმები, სხვადასხვა ტიპის კვლევების ანკეტები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. მონაცემთა შეგროვების მიზანს ემსახურება შემაჯამებელი თუ დიაგნოსტიკური წერები, ხოლო მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია შესაბამისი შეფასების რუბრიკები. კომპლექსური დავალება, რომელიც მოსწავლეს აძლევს თვითშეფასების შესაძლებლობას განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებულია ერთ-ერთ მეთოდად ხოლო ზემოდ აღნიშნული მეთოდები გამოიყენება დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზისათვის.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, რომლისათვისაც კათედრა იყენებს მულტიფაქტორულ მიდგომას. გასათვალისწინებელია ინდივიდზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები: მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მშობლებისა და მასწავლებლების დამოკიდებულებები და სოციალური გარემო სადაც იგი იზრდება და ვითარდება. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტიდან გამომდინარე შეფასებისას მასწავლებლები უნდა ეყრდნობოდნენ მრავალ ფაქტორებს და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მოსწავლეთა შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორებს იყენებენ: ახდენენ მოსწავლეთა დიფერენცირებული პროფილის შექმნას; იკვლევენ მოსწავლეთა სხვადასხვა უნარებს; ეძიებენ უნარების განვითარებაზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება:

- კურიკულუმების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებლეთან ინტერვიუ
- დირექტორის მოადგილეების ანგარიში
- კათედრის სხდომის ოქმი
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

i. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; მასწავლებლები გასაუბრებისას გამოყოფენ მნიშვნელოვან ასპექტს იმასთან დაკავშირებით, რომ კათედრის წევრები ამზადებენ ე.წ. დოკუმენტების კრებულს სიტყვიერს თუ სარეკომენდაციოდ გაწერილი მასალების ნაერთს, რომლებიც შეიცავს: რა მიგნებები აქვთ სამუშაო გამოცდილებიდან კარგი, რას დასჭირდება გადამუშავება, რატომ არ გაამართლა ფურცელზე დაწერილმა, რამ გაამართლა და რატომ, როგორ გამოვკვეთე პრობლემა და როგორია გადაჭრის გზები და საშუალებები, ამ შედეგებს აჯერებენ და წარუდგენენ ადმინისტრაციას. ადმინისტრაცია აანალიზებს და მასწავლებლებთან მოსაზრებების შეჯერების საფუზველზე გეგმავს აქტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე. კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა არის ციკლური პროცესი. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მუშაობა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. გადამუშავებული კურეკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც თავად მათ მიერ კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ გამოცდილებას, ისე სხვა მასწავლებელთა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. აღნიშნულის საფუძელზე შეიქმნება გადამუშოავებული კურიკულუმი, რომლებიც გამოიყენება მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს კათედრაზე განიხილავენ, აჯერებენ წინა წლების გამოცდილებას, აანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია ფურცელზე დაწერილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დასკვნა: 125 (ასოცდახუთი) გვერდი;
დანართი: 35 (ოცდათხუთმეტი) გვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



12.10.2023 წ.
თარიღი